პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 1943 წ. № 233 (6858). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ვაჟუჟინს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც წარმატებით ანვითარებენ შეტევას, დღეს, 7 ნოემბერს, გენერალ-ლეიტენანტ **რიბალკოს** სატანკო ჯარების სწრაფი დარტყმის შედეგად, დაიკავეს ქალაქი **ფასტოვი** — რკინიგზების დიდი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ოპერატიულად მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

ამრიგად, გადაჭრილია ძირითადი სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც გერმანელთა კიევის დაჯგუფებას აკავშირებდა კრივოი როგის დაჯგუფებასთან.

ქალაქ **ფასტოვის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი:

სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **პანფილოვის** კიევის გვარდიის მე-6 სატანკო კორპუსმა, პოლკოვნიკ **იაკუბოვსკის** 91-ე ცალკე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ **მიხაილოვის** გვარდიის 22-ე მოტო-მსროლელმა ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **ნოვოხატკოს** გვარდიის 51-ე სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **პლეშკოს** გვარდიის 52-ე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ **არხიპოვის** გვარდიის 53-ე სატანკო ბრიგადამ და პოდპოლკოვნიკ **ბასოვის** 1893-ე თვითმავალმა საარტილერიო პოლკმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად იმ შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ **ფასტოვის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „**ფასტოვის**“ სახელწოდება.

ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

ფასტოვის 91-ე ცალკე სატანკო ბრიგადა,
ფასტოვის გვარდიის 22-ე მოტო-მსროლელი ბრიგადა,
ფასტოვის გვარდიის 51-ე სატანკო ბრიგადა,
ფასტოვის გვარდიის 52-ე სატანკო ბრიგადა,
ფასტოვის გვარდიის 53-ე სატანკო ბრიგადა,
ფასტოვის 1893-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკი.

კიევის გვარდიის მე-6 სატანკო კორპუსი, რომელმაც მეორედ ისახელა თავი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში, წარდგენილ იქნას **წითელი დროშის** ორდენით დასაჯილდოებლად.

დღეს, 7 ნოემბერს, 20 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი **ფასტოვი**,—ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **ფასტოვის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 7 ნოემბერი.

დარბაზობა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვთან

7 ნოემბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26-ე წლისთავის გამო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა დარბაზობა გამართა დიპლომატიური კორპუსისათვის, რომელიც სრული შემადგენლობით დაესწრო.

დარბაზობას დაესწრნენ ავრეთვე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, ამხ. ა. ი. მიქოიანი, ამხ. ა. ი. ვიშინსკი, პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი ამხ. ნ. მ. შვერნიკი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, მარშალი ბ. მ. შაპოშნიკოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ს. შხერბაკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი, ამხ. ს. ა. ლოზოვსკი, ამხ. მ. მ. ლიტვინოვი, ამხ. ა. ე. კორნეიჩუკი, ამხ. ს. ი. ქავთარაძე, ამხ. ი.მ. მაისკი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ი. გოლიკოვი, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ა. ასტახოვი, ადმირალი ლ. მ. გალერი, ვიცე-ადმირალი გ. ა. სტეპანოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილეები ამხ. ა. დ. კრუტიკოვი, ამხ. მ. ს. სტეპანოვი, ამხ. ი. მ. კაგანოვიჩი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფ. გორკინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, თავდაცვის სახალხო კომისარიატის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო
ინგლისი

ლონდონი, 7 ნოემბერი (საკადესი). ამხანაგ სტალინის მოხსენებას, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისადმი მიძღვნილს, უდიდესი ინტერესით შეხვდნენ ინგლისში. ლონდონის რადიომ მოხსენების დაწვრილებითი შინაარსის გადაცემა ინგლისურ, იტალიურ, თურქულ, რუმინულ, გერმანულ და სხვა ენებზე დაიწყო 6 ნოემბერს საღამოს. მალე მას შემდეგ, რაც ამხ. ი. ბ. სტალინმა თავისი გამოსვლა დაამთავრა, 7 ნოემბერს ლონდონის რადიომ კვლავ მრავალჯერ გადასცა სხვადასხვა ენაზე ამხ. სტალინის მოხსენების დაწვრილებითი შინაარსი. საკვირაო გაზეთებმა—„რეინოლდს ნიუსმა“, „ობსერვერმა“, „სანდი ტაიმსმა“, „სანდი ექსპრესმა“ (კვირაობით ლონდონში გაზეთების განსაზღვრული რიცხვი გამოდის) გამოაქვეყნეს ამხანაგ სტალინის მოხსენების ვრცელი შინაარსი.

პრესა და რადიო თავადვე ყურადღებას უთმობენ მოხსენებას, დაწვრილებითს კომენტარს უკეთებენ მის ძირითად დებულებებს და განსაკუთრებით გამოჰყოფენ ამხანაგ სტალინის განცხადებას სახიდრო მდგომარეობაზე და ანტიჰიტლერული კოალიციის განმტკიცების შესახებ.

ლონდონის რადიოს კომენტატორმა, რომელიც შეეხო წითელი არმიის საბრძოლო წარმატებებს, განაცხადა: „სტალინურმა გენიალურმა, მტკიცე და ურყევმა წესრიგმა ბევრად გააღიდეს წითელი არმიის ძალა და სისწრაფე. ისტორიას ჯერ კიდევ არასოდეს არა სცოდნია ისეთი საგმირო საქმეები, როგორსაც ამჟამად სჩადის წითელი არმია. ის, რაც რუსეთის ჯარებმა ამ მოკლე ხანში გააკეთეს, კოლოსალურ მიღწევას წარმოადგენს“.

გაზეთი „სანდი ტაიმსი“ მოწინავე სტატიაში სწერს: „ვერმანელები წელში ტყდებიან იმ ტიტანური დარტყმების გამო, რასაც წითელი არმია თვიდან თვემდე აგებს მათ. ინგლის-ამერიკის ძალები დასავლეთში მკაცრად სჯიან მტერს ჰაერიდან, ზღვაში და ხმელეთზე. მარშალი სტალინი ჩვეულებრივ თავდაჭერილია ქებაში, მაგრამ მან ძალიან გულთადად მოიხსენია რუსეთის მოკავშირენი თავის 6 ნოემბრის სიტყვაში და გულთბილად ილაპარაკა მათს საბრძოლო ამხანაგობაზე“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად დადგა შესაფერი მომენტი „გაანალიზოთ ჩვენი ლონდონელი მეგობრების, რათა მოწონებამდეგს საშუალება არ მივცეთ წელში გასწორდეს და რათა გადამწყვეტი დარტყმები ვაგემოთ მას“. „სტალინმა მოწონებით მოიხსენია ინგლის-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობა,—სწერს შემდეგ გაზეთი.—ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ორ ქვეყანას შორის ამჟამად დამყარებული თანამშრომლობა დიდხანს გასტანს ორივე ხალხის საკეთილდღეოდ“.

გაზეთები ამხანაგ სტალინის სიტყვებს ანტიჰიტლერული კოალიციის განმტკიცების შესახებ აფასებენ როგორც ახალ დარტყმას გერმანელებისადმი. რომლებსაც ჯერ კიდევ მოსკოვის კონფერენციის წინ იმედი ჰქონდათ, რომ მოკავშირეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა.

ლონდონის რადიოს კომენტატორმა დღეს განაცხადა, რომ „რუსეთის ხალხთა ბელადი თავის გამოსვლაში დაწვრილებით შეჩერდა საბჭოთა ჯარების წარმატებებზე, აგრეთვე ყურადღება დაუთმო მოკავშირეებთან თანამშრომლობას, რომელიც, მისი სიტყვით, კიდევ უფრო განმტკიცდა. სტალინის განცხადებას შეუძლია დაარწმუნოს ყველა, ვისაც დღემდე ამაში ეჭვი შეეპარნოდა“.

ლონდონის რადიო აღნიშნავს, რომ „მოხსენებას წინ უძღოდა შესანიშნავი წინასიტყვაობა კიევის აღების სახით. კიევის დაკარგვა მძიმე დარტყმაა გერმანელებისათვის, რადგან მათ იმედი ჰქონდათ, რომ კიევს შეინარჩუნებდნენ და ზამთრისათვის იქ დარჩებოდნენ“.

ლონდონი, 8 ნოემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 8 ნოემბრის ინგლისური პრესა მიეესალმება სტალინის მოხსენებას.

ამ სიტყვამ და მოსკოვის კონფერენციამ, ერთად აღებულმა,—სწერს გაზეთი „ტაიმსი“,—გააკმაცერეს უკანასკნელი ილუზიები როგორც მტრებისა, ისე სულით სუსტი მეგობრებისა, რომლებსაც ეჭვი შეჰქონდათ ხანგრძლივი თანამშრომლობის დამყარების შესაძლებლობაზე. გაზეთი დაწვრილებით უკეთებს კომენტარს ამხანაგ სტალინის განცხადებას იმის შესახებ, რომ სამი მთავრობის ერთერთი ამოცანაა „მიანიჭონ ევროპის განთავისუფლებულ ხალხებს სრული უფლება და თავისუფლება თვითონ გადასწყვიტონ თავიანთი სახელმწიფო წყობილების საკითხი“, და შემდეგ აღნიშნავს, რომ ევროპის საკონსულტაციო კომისიის მუშაობას „გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან, უეჭველია, მის ეფექტიურობაზე ბევრად იქნება დამოკიდებული უშიშროების პერსპექტივა ევროპაში“.

გაზეთ „მანჩესტერ გარდიენს“ მრავალაღმოქმედად მიაჩნია სტალინის მიერ მშვიდობიანობის, პატარა ქვეყანათა უფლებების და ევროპის თანამშრომლობის მოხსენიება. „ახლანდელი ომის მსვლელობაში უწინ არასოდეს,—სწერს გაზეთი,—რუსეთს ასე შორს არ გაუწვდია მეგობრობის ხელი დასავლეთელი მოკავშირეებისათვის“.

გაზეთი „დეილი მეილი“ სწერს, რომ ეპიტეტი „ფართო ჰორიზონტი“ კრემლიდან გამოსულ არც ერთ სხვა სიტყვას არ შეეფერება ისე, როგორც სტალინის სიტყვას. „სტალინის თეზისი, აგრეთვე ჩვენი თეზისიც, ამბობს, რომ თუ, მაგრამ მხოლოდ „თუ“ მოკავშირე ხალხები ყველაფერს გააკეთებენ, რაც კი მათზე დამოკიდებულია, მაშინ ომი შეიძლება უფრო მალე დამთავრდეს, ვიდრე ეს წინათ შესაძლებლად ეჩვენებოდათ“.

„დეილი ექსპრესი“ აღნიშნავს: სტალინის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მიეთითებინა სხვა მოკავშირეებისათვის, როგორ დაამთავრონ ომი და დაამთავრონ მალე.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ სტატიაში, რომლის სათაურია „კატასტროფა ახლოვდება“, აცხადებს, რომ გერმანია უზარმაზარი ხიფანგია, რომლის კედლები და სახურავი ვერ გაუძლებენ კონცენტრირებულ შეტევას ყველა ფრონტზე და ყველა სტიქიით.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 7 ნოემბერი (საკადესი). ამხანაგ სტალინის მიერ მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საზეიმო სხდომაზე გაკეთებული მოხსენების დამთავრების რამდენიმე საათის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესმა რადიოსადგურებმა სხვადასხვა ენაზე გადასცეს მოხსენების დაწვრილებითი შინაარსი. ამხანაგ სტალინის მოხსენების შინაარსი კვლავ იქნა გადაცემული 7 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ყველა ძირითადი რადიოსადგურის მიერ.

ნიუ-იორკის რადიოს პოლიტიკურმა კომენტატორმა თავის გადმოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სტალინის მოხსენებას წინ უსწრებდა ცნობა წითელ არმიის მიერ უკრაინის დედაქალაქ კიევის განთავისუფლების შესახებ. კიევის დაკავება დასკვნითი ტრიუმფია იმ წარმატებებისა, რომლებსაც რუსებმა უკანასკნელი კვირების განმავლობაში მიაღწიეს“.

ლონდონი, 7 ნოემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან გადმოგვცემს, გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“, კომენტარს უკეთებს რა სტალინის მოხსენებას, აცხადებს, რომ ეს მოხსენება დამატებითს საბაბს აძლევს მოკავშირე ხალხებს მიესალმონ მაა არა მარტო გამარჯვების სრული რწმენით, არამედ მართლაც იმ იმედითაც, რომ ამ გამარჯვების საფუძველზე ამჯერად „ნორიერული მშვიდობიანობა იქნება მიღწეული.

ამხანაგ სტალინს
მდგომარეობა კიევში

1943 წლის 6 ნოემბერს განთიადისას უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გერმანელ ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს ქალაქი კიევი. მეწინავე ნაწილებთან ერთად ქალაქში ჩამოვიდნენ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები.

უნდა აღინიშნოს საარტილერიო ცეცხლის კარგი ორგანიზება, რაც ჩვენმა არტილერისტებმა მოაწყეს. ჩვენმა პატარა, და არაჩვეულებრივად მძლავრმა საარტილერიო ცეცხლმა ერთბაშად ჩაახშო მოწინააღმდეგის არტილერია, რამაც შესაძლებლობა მისცა ჩვენს ქვეითს ჯარსა და ტანკებს სწრაფი შეტევა განეგითარებინათ. გერმანელები, რომელთაც ეშინოდათ სრული გარემოცვისა ქალაქ კიევში, თავზარდაცემული გაიქცნენ ქალაქიდან და ვერ მოასწრეს დაეწვათ და აეფეთქებინათ ქალაქი კიევი, როგორც ეს ჩაიდინეს პოლტავაში და მარცხენა ნაპირის უკრაინის სხვა ქალაქებში. მაგრამ მტერმა მაინც მოასწრო აეფეთქებინა და ცეცხლი წაეკიდებინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტისათვის. დაიწვა კიევის უნივერსიტეტი, თავდაცვის სახლი, ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკა, ელექტროსადგურები („კრეს“, „ცეს“), აფეთქებულია ქარხანა „ბოლშევიკის“ ორი საამქრო, პურის ქარხნები, წყალსადენის მეურნეობა, ყველა ხიდი, გზაგამტარები და მთელი რიგი დიდი საცხოვრებელი შენობები.

გადარჩა ქალაქის თითქმის ყველა თეატრი. წინათ დაიწვა ცირკი, წითელი არმიის თეატრი, „მოზარდ მაყურებელთა“ თეატრი და ყველა კინოთეატრი, რომლებიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში იყო.

გერმანელებმა გაძარცვეს თითქმის ყველა სახლი ქალაქში, ზოგიერთი სახლიდან (უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შენობები) კარის სახელურებიც კი წაუღიათ, მოძრობილია რაფები, კარები, ფანჯრის ჩარჩოები, აყრილია პარკეტი და მარმარილოს ფილები.

გერმანელები ცდილობდნენ გაერეკათ ქალაქის მთელი მოსახლეობა. ისინი დაეძებდნენ მცხოვრებთ, რისთვისაც იყენებდნენ ადამიანთა დასაჭერად სპეციალურად დაგებულ ძაღლებს. კიეველები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა თავი დაეღწიათ ამ ჭერა-ჩხრეკისათვის. ისინი იმალებოდნენ კანალიზაციისა და წყალსადინარ ჭებში, სახლების ამოქოლილ სარდაფებში მალავდნენ ერთმანეთს, სხვენებზე ადიოდნენ და ხარახურას იყრიდნენ თავზე. კიეველმა ექიმმა პაშკოვმა მიამბო, მეძებარი ძაღლებისათვის რომ კვალი დამებნია, გადავწყვიტე სარდაფში დავმალულიყავი და სარდაფში წასვლის წინ ფეხსაცმლის ლანჩზე იხთიოლის მალამო წავისვი, ხოლო იმ ადგილას, სადაც ვიმალებოდი, ნავთი მოვასხი. კიევში გამართული ჭერა-ჩხრეკის დროს იყო თავის მოკვლის მრავალი შემთხვევა. პროფესორმა ლოზინსკიმ რომ შეიტყო, ჩემს ბინაში ჟანდარმები შემოდიანო, საწამლავი მიიღო, შემდეგ კი თავი მოიწამლეს მისმა ცოლმა და ქალიშვილმა. გერმანელები მასობრივად ხოცავდნენ ადამიანებს, რომელნიც გარეკვის შიშით იმალებოდნენ. პოდვალნაია ქუჩაზე, მიხაილოვისა და ფრუქტოვი შესახვევებში იპოვეს მრავალი გვამი მცხოვრებლებისა, რომელნიც ცდილობდნენ გერმანელებს დამალოდნენ. გერმანელები მათ ხვრეტდნენ და სწვავდნენ. მათ მოახერხეს ქალაქიდან გაერეკათ მოსახლეობის მნიშვნელოვანი უმეტესობა. კიევი ამომწყდარი ქალაქის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ამჟამად ახლო-მახლო ტყეებიდან, ჭაობებიდან, ხევებიდან და სასაფლაოთა აკლდამებიდან დიდ-დიდ ჯგუფებად ბრუნდებიან კიეველები. ისინი მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებენ გადატანილი საშინელებისა, აბუჩად აგდებისა და გაჭირვების გამო. ენით გამოუთქმელი აღფრთოვანებით ეგებებიან ქალაქის მცხოვრებნი წითელი არმიის მებრძოლთ.

ჩვენ ამჟამად წესრიგს ვამყარებთ ქალაქში, ვმუშაობთ გადარჩენილი ქონების აღრიცხვასა და ქალაქის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების აღდგენაზე.

წყალსადენი, რომელიც გერმანელებს ნაწილობრივ აუფეთქებიათ, რამდენიმე დღეში აღდგენილ იქნება და წყალს მივაწოდებთ ქალაქს. ქარხნებში გადარჩენილი ელექტრომოწყობილობა შესაძლებლობას მოგვცემს, რომ რამდენიმე დღის შემდეგ უზრუნველვყოთ ქალაქისათვის დაახლოებით ერთი ათასი კილოვატი ელექტროენერგიის მიცემა, რაც საკმარისია წყალსადენისა და განათების პირველი რიგისათვის. პურის ქარხნებში გადარჩენილია ერთგვარი მოწყობილობა და რამდენიმე ღუმელი. გარდა ამისა, გამოყენებული იქნება 50-მდე პატარა ფურნე. ყოველივე ეს იმის შესაძლებლობას მოგვცემს, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მოვაწყოთ პურის გამოცხობა.

ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ, რომ რაც შეიძლება მალე ავაგოთ რკინიგზის ხიდი მდინარე დნეპრზე.

6 და 7 ნოემბერს, კიევში ყოფნისას, ვესაუბრე ქალაქის მრავალ მცხოვრებს, რომელნიც ტირილით მიამბობდნენ გერმანელთა ოკუპაციის საშინელებათა შესახებ.

ყველგან, სადაც კი ვიყავი, კიევის მცხოვრებლებმა მთხოვეს პირადად გადმოგცეთ თქვენ მათი უღრმესი და გულითადი მადლობა მშობლიური ქალაქის განთავისუფლებისათვის და დალუპვისაგან კიეველთა ხსნისათვის.

ნ. ხრუშჩოვი

1943 წლის 8 ნოემბერი.

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის მებრძოლები საქართველოს მშრომელებს

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის მებრძოლთა, სერჟანტთა და ოფიცერთა სახელით საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გ. თ. სტურუას და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. ბაქრაძის სახელზე მიღებულია მისალმება საქართველოს მშრომელებისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავთან დაკავშირებით.

— გიგანტურ ბრძოლაში,—ნათქვამია წერილში,—რუსი დეგ-გმირების მხარდამხარ მამაცურად იბრძვიან ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები. ბევრი მათგანი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით და მედლებით. ბევრ მათგანს ბიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ხალხთა ურყევი მეგობრობა მრავალეროვანი წითელი არმიის ძლიერების წყაროს შეადგენს. მთელ ჩვენს სამშობლოში გაითქვა სახელი ძლევამოსილი საბრძოლო საქმეებით ანაპის 414-ე მსროლელმა დივიზიამ. მისი საგმირო საქმეები კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი ხალხების ყოვლისმძლე მეგობრობას. საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მეგობრობის სიმძლავრე თავს იჩენს არა მარტო ბრძოლის ველებზე, არამედ ზურგშიც, რომელიც ღირსეულად უზრუნველჰყოფს საბრძოლო ტექნიკის, საჭურვლის. ტანსაცმლისა და სურსათის განუწყვეტელ მასობრივ მიწოდებას ფრონტისათვის. საბჭოთა ზურგის თავდადებული მუშაობის მეოხებით საბრძოლო ტექნიკის თანაფარდობა ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა. წითელ არმიას ახლა აქვს საკმარისი თანამედროვე მძლავრი ტექნიკა. საბჭოთა ზურგი უზრუნველჰყოფს ფრონტს მძლავრი რეზერვებით. ხალხის ზრუნვა თავისი მშობლიური არმიისათვის თავის გამოხატულებას პოულობს საზეიმო დღესასწაულთა დღეებშიც, როცა ფრონტზე მრავლად ეგზავნებათ ამანათები მებრძოლებს, სერჟანტებსა და ოფიცრებს. დღესაც, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის აღსანიშნავად, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა დიდძალი სადღესასწაულო საჩუქარი მიიღეს ქართველი ხალხისაგან. ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის მებრიგეთა, სერჟანტთა და ოფიცერთა სახელით სამხედრო საბჭო თქვენი სახით მადლობას უძღვნის ქართველ ხალხს მზრუნველობის გამოჩენისათვის, რაც კიდევ უფრო მეტად აღგვაფრთოვანებს მტრის საბოლოოდ გასანადგურებლად.

დასასრულ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის მებრიგეები, სერჟანტები და ოფიცრები გამოსთქვამენ რწმენას, რომ საქართველოს მშრომელები წითელი არმიის ძლევამოსილ შეტევას უპასუხებენ ფრონტისადმი დახმარების ახალი გაძლიერებით, ახალი შრომითი საგმირო საქმეებით. და მოაახლოვებენ საძულველი მტრის — ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურების დღეს.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ორდენ „გამარჯვება“-ს დაწესების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმი ადგენს:**

1. დაწესდეს წითელი არმიის უმაღლესი მეთაურთა შემადგენლობის პირთა დასაჯილდოებლად უმაღლესი სამხედრო ორდენი **„გამარჯვება“**.
2. დამტკიცდეს ორდენ **„გამარჯვება“**-ს სტატუტი.
3. დამტკიცდეს ორდენ **„გამარჯვება“**-ს აღწერილობა.
4. ორდენით **„გამარჯვება“** დაჯილდოებულთათვის დაწესდეს, განსაკუთრებული წარჩინების ნიშნად, მემორიალური დაფა მასზე ორდენ **„გამარჯვება“**-ს კავალერთა სახელების შესატანად. მემორიალური დაფა დაიდგას კრემლის დიდ სასახლეში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 8 ნოემბერი.

სვეტური ორდენისა „გამარჯვება“

1. ორდენით „გამარჯვება“, როგორც უმაღლესი სამხედრო ორდენით, დაჯილდოვდებიან წითელი არმიის უმაღლესი მეთაურთა შემადგენლობის პირნი რამდენიმე ან ერთი ფრონტის მასშტაბით ისეთი საბრძოლო ოპერაციების წარმატებით ჩატარებისათვის, რომელთა შედეგადაც ძირფესვიანად იცვლება ვითარება წითელი არმიის სასარგებლოდ.

2. დაჯილდოება ორდენით „გამარჯვება“ სწარმოებს მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით.

3. ორდენს „გამარჯვება“ ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეზე, ქამრის ზემოთ 12-14 სანტიმეტრზე.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
დიდების I, II და III ხარისხის ორდენის დაწესების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმი ადგენს:**

1. დაწესდეს წითელი არმიის რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობის პირთა, ხოლო ავიაციაში უმცროსი ლეიტენანტის წოდების მქონე პირთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში გამოიჩინეს თავი, **დიდების** I, II და III ხარისხის ორდენი.
2. დამტკიცდეს **დიდების** I, II და III ხარისხის ორდენის სტატუტი.
3. დამტკიცდეს **დიდების** I, II და III ხარისხის ორდენის აღწერილობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 8 ნოემბერი.

ქრონიკა

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამხ. იანე კარაპეტის-ძე გურგენაშვილი დაინიშნა საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

КОМУНИСТ

ГРУЗИНСКОЙ ССР

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ОТСУТСТВУЕТ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

7 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი ფასტოვი, აგრეთვე დაიკავეს 70-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ვლადიმიროვკა, მლინოვკი, კატიუშანკა, აბრამოვკა, ფელიციანლოვკა, ბაბინცი, მიკულიჩი, დაჩი კლავდიევო, დუბროვა ლელინა, კოზენცი, ხმელნაია, კოლონეშჩინა, გავრილნეშჩინა, მაკოვიშჩი, პეტრუშკი, ბელგოროდკა, ბოგრიცა, ძნიაჟიჩი, ფოკრნოვკა, კოჟუხოვკა, კლესეცკოე, კაზიონნაია-მოტოვილოვკა, რუსლოვიჩი, გვოზდოვი, მალაია და ბოლშაია ბუბაევკა, მალიე და ბოლშიე დმიტროვიჩი, ბეზრადიჩი და რკინიგზის სადგურები ვოროზელი, ნემეშაევო, კლავდიევო, ბლევახა, ვასილკოვი 1-ლი, მოტოვილოვკა.

ძერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად, რომელთა მსვლელობაშიც გაიუმჯობესეს პოზიციები.

ქალაქ ნეველის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის დერბიხა, ლეშნი, პრუდკი, არტემოვკა, დვორიშჩე და რიუმი.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანადმტყორცნო სროლაა.

6 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 219 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია ჩატრის 74 თვითმფრინავი.

✿ ✿ ✿

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. ჩვენმა ტანკისტებმა სწრაფად წაიწიეს წინ, შეიჭრნენ ქალაქ ფასტოვში და დღეს სავსებით დაიკავეს მტრის ეს უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო კვანძი და დასაყრდენი პუნქტი. დაიკავეს რა ფასტოვი, ჩვენმა ჯარებმა გადასერეს ძირითადი რკინიგზა, რომელიც გერმანელთა ჯარების კიევის დაჯგუფებას აკავშირებდა გერმანელთა კრიგოი როგის დაჯგუფებასთან. ხელთ ვიგდეთ სარკინიგზო ეშელონები ტვირთიანად, დიდი საწყობები საჟურვლიანად, საომარ მასალიანად და სამხედრო ქონებიანად, ბევრი ქვემეხი, ნაღმსატყორცნი და ტყვიამფრქვევი. სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მტერს უდიდესი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალის მხრივ. მოსპობილი და დაზიანებულია გერმანელთა ბენრი ტანკი, ქვემეხი და სხვა სამხედრო ტექნიკა. წამოყვანილია დიდძალი ტყვე. 6 შენაერთის ნაწილებმა ხელთ იგდეს რკინიგზის ეშელონი ბენზინიანად, საწყობი საწვავიანად, 19 თვითმავალი ქვემეხი, 70 საველე ქვემეხი, 400 ავტომანქანა და საზიდარი ტვირთიანად და სხვა დაკლა. ერთ-ერთ აეროდრომზე მოსპობილია გერმანელთა 10 თვითმფრინავი, რომლებმაც აფრენა ვერ მოასწრეს. 6 ნაწილის მებრძოლებმა მტრისაგან გასწმინდეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, ხელთ იგდეს 10 თვითმავალი ქვემეხი და 25 საველე ქვემეხი, დიდძალი ავტომანქანა და საწყობები სურსათიანად. პლესეცკოეს რაიონში საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 175-ე საარტილერიო პოლკის მთელი მატერიალური ნაწილი.

* * *

ქერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს პლაცდარმის გასაფართოებლად და გაიუმჯობესეს პოზიციები. გერმანელთა მიერ არაერთგზის მოტანილი კონტრიერიში მოგერიებულია მათთვის დიდი ზარალის მაყენებით. მარტო ერთ უბანზე ქალ. ქერჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში მოსპობილია 1.000-ზე მეტი ჰიტლერელი. საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 16 ქვემეხი, საომარი მასალის 3 საწყობი და რამდენიმე რადიოსადგური. ქალ. ქერჩის სამხრეთით ჩვენი ქვეგანაყოფები დაზვერვას და მტერთან ცეცხლით ბრძოლას ეწეოდნენ.

* * *

ნეველის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილები განაგრძობდნენ წინსვლას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს, მაგრამ საბჭოთა ჯარების დარტყმით ზედი-ზედ სტოვებს პოზიციებს. ერთ უბანზე მტრის ქვეითი ჯარის ბატალიონი 20 ტანკის დახმარებით კონტრიერიშზე გადმოვიდა 6 ნაწილის ქვეგანაყოფის წინააღმდეგ. საბჭოთა მებრძოლებმა დაიზიანეს გერმანელთა 8 ტანკი, გაეღიტეს 400-მდე ჰიტლერელი, წინ წაიწიეს და დაიკავეს მტრის დასაყრდენი პუნქტი. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დავლა.

* * *

ლენინგრადელ პარტიზანთა ორი რაზმი თავს დაესხა რკინიგზის სადგურს. პარტიზანებმა გაეღიტეს გერმანელთა გარნიზონი, დასწვეს სადგურის ნაგებობანი, მტრის სამხედრო საწყობები, მოსპეს სიგნალიზაცია და კავშირგაბმულობა. იმავე დროს პარტიზანთა ჯგუფმა შეაღწია ოდნა სადგურიდან 2 კილომეტრზე მდებარე დასახლებულ პუნქტში. საბჭოთა პატრიოტებმა გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი და ხელთ იგდეს დავლა.

* * *

საბჭოთა კავშირის მშრომელნი უდიდესი ყურადღებით ისმენდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის რადიოთი გადმოცემულ მოხსენებას მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქალ. მოსკოვის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომაზე 1943 წლის 6 ნოემბერს. ბელადს ბრძნულმა სიტყვამ, გასული წლის — ომის მსვლელობაში ძირითადი გარდატეხის წლის მოვლენათა სტალინურმა ანალიზმა ზურგში და ფრონტზე ახალი უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვიეს. ბევრ საწარმოსა და კოლმეურნეობაში შესდგა მიტინგები. მუშები, კოლმეურნეები და საბჭოთა ინტელიგენცია მხურვალედ მიესალმებიან უმაღლეს მთავარსარდალს ამხანაგ სტალინს და გმირ წითელ არმიას.

მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მარტენის საამქროს მუშათა მიტინგზე მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ხარიტონსკიმ.

„ღღეს, — განაცხადა მან, — ჩვენ გავიგოთ ამხანაგ სტალინის მშობლიური ხმა, რომელმაც გვამცნო, რომ გამარჯვება მოსისხლე მტერზე ეკვა ახლოა. ეს სიტყვები უდიდეს სიხარულს უნერგავენ გულში საბჭოთა ადამიანებს. ამასთან ერთად ამხანაგმა სტალინმა ერთხელ კიდევ მოგვაგონა, რომ გამარჯვება არ შეიძლება უბრძოლველად და დაუძაბავად, არამედ მოიპოვება ბრძოლით. ჩვენს რიგებში არ უნდა იყოს უდარდელობა და თვითდამშვიდება. ჩვენ უნდა გავაკეთოთ და გავაკეთებთ ყველაფერს, რაც საჭიროა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების დასაჩქარებლად“. ფოლადსმსმელმა შელაჩკოვმა სთქვა: „ამხანაგ სტალინის მოხსენებით საბჭოთა ადამიანები ახალ ძალებს შეიმატებენ კიდევ უფრო თვალსაჩინო საგმირო საქმეების მისაღწევად ფრონტზე და ზურგში. ჩვენ, მუშები, ომის მესამე წელს კიდევ უფრო უკეთესად და ნაყოფიერად ვიმუშავებთ გამარჯვებისათვის, ვიდრე წინათ ვმუშაობდით“.

გორკის მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის საამქროებში მუშები კოლექტიურად ისმენდნენ ამხანაგ სტალინის მოხსენებას. № 1 საამქროში მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა სტახანოველმა ამხ. გრიგორიევმა. მან განაცხადა: „ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა ზურგის თავდადებული მუშაობა და ჩვენი მუშათა კლასის დამსახურება. ეს მაღალი შეფასება აღგვაფრთოვანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის სამშობლოს სასახელოდ. ჩვენ, ავტოქარხნის მუშები, მთელ ჩვენს ძალასა და უნარს ვიხმარებთ, რათა დავაჩქაროთ გერმანელ ბარბაროსებზე სრული გამარჯვების სანატრელი ჟამი“. სამსხმელო, საინსტრუმენტო, სატვიფრაგ და სხვა საამქროების ბევრმა მუშამ ვალდებულება იკისრა გადამეტებით შეასრულოს საწარმოო დავალება.

უზბეკეთის ანდიჟანის ორჯონიკიძის სახელობის მოწინავე ნათესარეწის სტახანოველმა ამხ. აღა ნიმატულამ განაცხადა: „ჩვენ ბედნიერნი ვართ ვუთაკაოთ სამშობლოს, რომ დღეისათვის ჩვენმა კოლექტივმა უკვე მისცა 6.000 ტონა საწვავი-წლიური გეგმის გადამეტებით. წლის ბოლომდე ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მივცემთ კიდევ ბევრ ტონა ზეგეგმითს ნავთს“.

8 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

8 ნოემბრის განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითი შეტევის განვითარებას და დაიკავეს კიევის ოლქის რაიონული ცენტრები მაკაროვი, ბიშევი, ობუხოვი, აგრეთვე დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბორნასტაპოლი, ლიუბიდვა, ვოროპაევკა, ფენვეზინი, სციტლი, ზიბენოე, ბერესტიანკა, ფილიგოვიჩი, ნოვაია ბრეგლია, ანდრეევკა, ლიპოვკა, კოკილოვი ბოტიკინი, იუროვი, ფასკოვაია, იასნოგოროდკა, ბოსტიშე, ჩერნოგოროდკა, დროგინცი, ფასტოვეცი, მარიანოვკა, 1-ლი და მე-2, ასკვეროვკა, კოდაკი, ბარახტი, ბოლშაია და მალაია ვილშანკა, ტრიპილია და რკინიგზის სადგურები ტრილესი, კოჟანკა.

ძერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმების გასაფართოებლად წინანდელ რაიონებში.

ქალაქ ნეველის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც გაიუმჯობესეს პოზიციები.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანადმტყორცნო სროლაა.

7 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 24 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 15 თვითმფრინავი.

✿ ✿ ✿

გერმანელთა ზარალი და ჩვენი ნადავლი კიევთან

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა კიევისათვის ბრძოლებში 3-დან 6 ნოემბრამდე დაამარცხეს მოწინააღმდეგის 68-ე, 75-ე, 82-ე, 88-ე, 183-ე 217-ე, 323-ე, 327-ე, და 340-ე ქვეითი დივიზიები, მე-7 და მე-8 სატანკო დივიზიები და მე-20 მოტოდივიზია, ხოლო კიევისათვის ბრძოლებში სულ დამარცხებულია გერმანელების 9 ქვეითი, 2 სატანკო და ერთი მოტოდივიზია. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დატოვა თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 15.000-მდე გვამი.

ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს: 244 ტანკი, 126 თვითმფრინავი, 174 საარტილერიო ქვემეხი, მათ შორის 48 თვითმავალი ქვემეხი, 158 ნაღმსატყორცნი, 246 ტყვიამფრქვევი, 28 სხვადასხვა საწყობი.

არასრული ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 30 თვითმფრინავი, 42 ტანკი, 314 საარტილერიო ქვემეხი, მათ შორის 70 თვითმავალი ქვემეხი, 140 ნაღმსატყორცნი, მათ შორის 30 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, 640 ტყვიამფრქვევი, 660 ავტომანქანა, 700 საზიდარი ტვირთიანად, 2.000-ზე მეტი ცხენი, 18 რადიოსადგური, 34 საწყობი საჟურვლიანად, საომარ მასალიანად და სხვა სამხედრო ქონებიანად.

ტყვედ წამოუყვანილია 6.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. მოსპობილია 1.500-მდე ჰიტლერელი, დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 8 ტანკი. ხელთ ვიგდეთ 14 ქვემეხი, მათ შორის 3 თვითმავალი ქვემეხი, 2 ჯავშანმანქანა, 5 ჯავშანტრანსპორტერი, საომარი მასალის საწყობი და საინჟინრო ქონების საწყობი. 6 შენაერთის მებრძოლებმა, რომელნიც სწრაფად მიიწევდნენ კიევ-ჟიტომირის გზატკეცილის გასწვრივ, გადალახეს მდინარე ზდვიჟი და დაიკავეს კიევის ოლქის რაიონული ცენტრი მაკაროვი. დაკავებულია აგრეთვე რაიონული ცენტრები ბიშევი, ობუხოვი და სხვა დასახლებული პუნქტები. მოწინააღმდეგემ მძიმე ზარალი ნახა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ფასტოვის რკინიგზის კვანძზე და სადგურ ვასილკოვში ხელთ ვიგდეთ გერმანელთა დიდი საარმიო საწყობები. ერთ-ერთ აეროდრომზე ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 15 ვარგისი თვითმფრინავი, საწვავის საწყობი და ავიაბომბების საწყობი.

* * *

ქერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ პლაცდარმის გასაფართოებლად და პოზიციები გიუმჯობესეს. ქალაქ ქერჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელთა ქვეითი ჯარის ერთი პოლკი 15 ტანკის დახმარებით ოთხჯერ გადმოვიდა კონტრიერიშზე. 6 შენაერთის გვარდიელებმა უკუაქციეს მოწინააღმდეგე. ბრძოლის მსვლელობაში მოსპობილია 6 ტანკი და 800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბნებზეც მოგერიებულ იქნა მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში მისთვის დიდი ზარალის მიყენებით.

* * *

ნეველის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილებმა დასძლიეს გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა, წინ წაიწიეს და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. სხვა უბნებზე მოწინააღმდეგის 8 ქვეითმა ბატალიონმა და 50 ტანკმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. დღის დამლეგისათვის ჩვენი ჯარების კონტრდარტყმით მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა. ამ ბრძოლაში გერმანელებმა 1.500-მდე თავისი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ცეცხლით დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 39 ტანკი.

* * *

ჩვენმა ხომალდებმა შავ ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 3.000 ტონა წყალწყვილა.

* * *

გომელის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გზატკეცილზე მოწყობილი საფრებიდან მოსპო გერმანელთა 11 ავტომანქანა ტვირთიანად და გაეღიტა მტრის 40 ჯარისკაცი და ოფიცერი. პარტიზანების ჯგუფმა შეაღწია ერთ დასახლებულ პუნქტში და ცეცხლი წაუკიდა გერმანელთა საწყობს, სადაც საწვავი ინახებოდა. ამავე რაიონში საბჭოთა პატრიოტებმა მოსპეს გერმანელთა ბადრაგი და გაათავისუფლეს 800 საბჭოთა მოქალაქე, რომლებსაც ჰიტლერელები მიერეკებოდნენ კატორღულ სამუშაოზე გერმანიაში.

* * *

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ წითელარმიელები, წითელფლოტელები, სერჟანტები, ოფიცრები და გენერლები ამხანაგ სტალინის მოხსენებასა და ბრძანებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისათვის ჩვენ სავსებით აღვადგინეთ კოლექტიური მეურნეობა — ავაგეთ ახალი თავლები, საღორე, შევინახეთ 250 ტონა სილოსი, დავთესეთ 500 ჰექტარი საშემოდგომო პურეული, შევასრულეთ მზრალად ხვნის გეგმა. კაზაკები და კაზაკი ქალები გაათკეცებული ძალით იმუშავებენ, რათა მალე გაანადგურონ საზიზღარი მტერი“.

კუიბიშევის ოლქის პოხვისტნიოვის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „კანაშის“ კოლმეურნეთა კრებაზე გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ტროფიმოვი. „წელს,— სთქვა მან,—ჩვენმა კოლმეურნეებმა კარგად იშრომეს და უხვი მოსავალი მოიყვანეს. ჩვენ ვადამდე გავასწორეთ ანგარიში სახელმწიფოს წინაშე ყველა სახის ჩაბარებათა მიხედვით და დამატებით 100 ცენტნერი პური ჩავაბარეთ გეგმის გადამეტებით. ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა კოლმეურნეთა მუშაობას. ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ დიდი მოსავლისათვის ბრძოლაში, რათა შეუფერხებლად მოვამარაგოთ წითელი არმია და ქალაქები სურსათით, ხოლო მრეწველობა— ნედლეულით“.

ჯამბულის ოლქის სეირდლოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კარაჩუში“ ყაზახეთის წარჩინებულმა მეჭარხლემ ამხ. ტოლკუმბაი ტუმენბაევმა განაცხადა: „ამხანაგ სტალინის მოხსენება გზისმაჩვენებელი ვარსკვლავია, რომელიც გამარჯვების გზას გვიჩვენებს. სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ჩვენც, ყაზახი კოლმეურნეები, ჩვენი მუშაობით ხელს ვუწყობთ საბჭოთა მიწა-წყლიდან მტრის განდევნას. ჩვენმა რგოლმა წელს 575 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა ჰექტარზე. ეს იმას ნიშნავს, რომ წითელი არმია 1890 ფუთ შაქრის მიიღებს გეგმის გადამეტებით. სიტყვას ვიძლევით, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო დიდ მოსავალს მოვიყვანთ“.

თათრეთის კოლმეურნეობებმა ამხანაგ სტალინის მოხსენების საპასუხოდ პურის წითელი აღალები მოაწყეს. არსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელმა „სპარტაკმა“ ვადამდე შეასრულა პურის ჩაბარების გეგმა და 125 ცენტნერი მარცვლეული ჩაბარა გეგმის გადამეტებით. კოლმეურნეებმა განიხილეს ამხანაგ სტალინის მოხსენება და გადასწყვიტეს მიჰყიდონ კიდევ სახელმწიფოს 50 ცენტნერი მარცვლეული. იმავე რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ურნაიშ-ბაშის“ კოლმეურნეებმა მარცვლეულის წითელი აღალი გაგზავნეს პურის ჩასაბარებელ პუნქტში.

9 ნოემბრის ოპერაციული ცნობა

9 ნოემბრის განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს კიევის ოლქის რაიონული ცენტრი ბოროდიანკა, აგრეთვე დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები რუდნია-ვერესნია, დიტიატკი, ორანოე, პრიბოროსკი, შპილი, ბლიტჩა, ლეონოვკა, კაჩალი, ნალივაიკოვკა, ნეჟილოვიჩი, ნებილიცა, სიტნიაკი, გრუზკოე, იუროვკა, ბერტნიკი, კოროლიოვკა, პალიანიჩენცი, ტროსტინკა, იაცკი, გერმანოვკა, დოლინა, ჟუკოვცი, ვიტაჩევი და რკინიგზის სადგურები ბოროდიანკა და სპარტაკი.

ქერჩის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს პლაცდარმების გასაფართოებლად წინანდელ რაიონებში.

ქალაქ ნეველის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანადმტყორცნო სროლაა.

8 ნოემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 71 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 18 თვითმფრინავი.

✿ ✿ ✿

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. 6 შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს და დაიკავეს კიევის ოლქის რაიონული ცენტრი ბოროდიანკა, აგრეთვე დაიკავეს მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. ბოროდიანკის რაიონში მოსპობილია გერმანელთა ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი. მოწინააღმდეგეს წაეგთვეთ 8 ქვემეხი, რამდენიმე ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი და სხვა დაკლა. კიევის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა განაგრძეს შეტევა, დაიკავეს დასახლებული პუნქტი გერმანოვკა და გაადგურებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული, დასაყრდენი პუნქტის განაპირა უბნებში. სხვა უბანზე გერმანელები ცდილობდნენ დაკარგული პოზიციების დაბრუნებას და გააფთრებული კონტრიერიშში მოიტანეს. ხუთი საათის ბრძოლაში საბჭოთა მებრძოლებმა გაჟლიტეს 500 ჰიტლერელი და უკან დაახევინეს მოწინააღმდეგეს. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ლიტველთა პარტიზანული რაზმი უეცრად დაესხა თავს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის კოლონას. ხელჩართულ ბრძოლაში საბჭოთა პატრიოტებმა გაანადგურეს ჰიტლერელები და ხელთ იგდეს დიდძალი დავლა. ამავე რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა 49 ადგილას ააფეთქა რკინიგზის ლიანდაგი და ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 2 სამხედრო ეშელონი. მატარებელთა მიმოსვლა ამ უბანზე შეწყვეტილი იყო რამდენიმე დღე-ღამით.

* * *

ამხანაგ სტალინის მოხსენებამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26 წლისთავის შესახებ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში. მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია, წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები, იხილავენ რა თავიანთი ყაყვარელი ბელადის მოხსენებას, ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ისინი მთელ თავიანთ ძალღონეს მოანდომებენ ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტას.

სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის სადგურ პრიდაჩის კოლექტივის მიტინგზე შეკრებილთა საერთო აზრი გამოსთქვა გზის ოსტატმა სტახანოველმა ამხ. კარასიოვმა: „ამხანაგმა სტალინმა, — განაცხადა მან, — მაღალი შეფასება მისცა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობას. ეს გვავალებს ვიშრომოთ გაორკეცებული ენერგიით. წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენმა უბანმა პირველი ადგილი დაიკავა. ჩვენ სავსებით აღვადგინეთ გერმანელების მიერ დანგრეული სარკინიგზო მეურნეობა. ჩვენ მომავალშიც სულ ცოტა 200 პროცენტით შევასრულებთ საწარმოო დავალებას. ასეთია ჩვენი პასუხი ამხანაგ სტალინისადმი“.

სამამულო ომის ინვალიდმა, როსტოვის ოლქის სტანიცა პროლეტარსკაიას კოლმეურნეობა „კრასნაია ზარიას“ თავმჯდომარემ ამხ. გრეგენკოვმა განაცხადა: „გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა პირწმინდად გაანადგურეს ჩვენი კოლმეურნეობა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26 წლისთავისათვის ჩვენ სავსებით აღვადგინეთ კოლექტიური მეურნეობა — ავაგეთ ახალი თავლები, საღორე, შევინახეთ 250 ტონა სილოსი, დავთესეთ 500 ჰექტარი საშემოდგომო პურეული, შევასრულეთ მზრალად ხვნის გეგმა. კაზაკები და კაზაკი ქალები გაათკეცებული ძალით იმუშავებენ, რათა მალე გაანადგურონ საზიზღარი მტერი“.

კუიბიშევის ოლქის პოხვისტნიოვის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „კანაშის“ კოლმეურნეთა კრებაზე გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ტროფიმოვი. „წელს,— სთქვა მან,—ჩვენმა კოლმეურნეებმა კარგად იშრომეს და უხვი მოსავალი მოიყვანეს. ჩვენ ვადამდე გავასწორეთ ანგარიში სახელმწიფოს წინაშე ყველა სახის ჩაბარებათა მიხედვით და დამატებით 100 ცენტნერი პური ჩავაბარეთ გეგმის გადამეტებით. ამხანაგმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა კოლმეურნეთა მუშაობას. ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ დიდი მოსავლისათვის ბრძოლაში, რათა შეუფერხებლად მოვამარაგოთ წითელი არმია და ქალაქები სურსათით, ხოლო მრეწველობა— ნედლეულით“.

ჯამბულის ოლქის სეირდლოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კარაჩუში“ ყაზახეთის წარჩინებულმა მეჭარხლემ ამხ. ტოლკუმბაი ტუმენბაევმა განაცხადა: „ამხანაგ სტალინის მოხსენება გზისმაჩვენებელი ვარსკვლავია, რომელიც გამარჯვების გზას გვიჩვენებს. სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ჩვენც, ყაზახი კოლმეურნეები, ჩვენი მუშაობით ხელს ვუწყობთ საბჭოთა მიწა-წყლიდან მტრის განდევნას. ჩვენმა რგოლმა წელს 575 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანა ჰექტარზე. ეს იმას ნიშნავს, რომ წითელი არმია 1890 ფუთ შაქრის მიიღებს გეგმის გადამეტებით. სიტყვას ვიძლევით, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო დიდ მოსავალს მოვიყვანთ“.

თათრეთის კოლმეურნეობებმა ამხანაგ სტალინის მოხსენების საპასუხოდ პურის წითელი აღალები მოაწყეს. არსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელმა „სპარტაკმა“ ვადამდე შეასრულა პურის ჩაბარების გეგმა და 125 ცენტნერი მარცვლეული ჩაბარა გეგმის გადამეტებით. კოლმეურნეებმა განიხილეს ამხანაგ სტალინის მოხსენება და გადასწყვიტეს მიჰყიდონ კიდევ სახელმწიფოს 50 ცენტნერი მარცვლეული. იმავე რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ურნაიშ-ბაშის“ კოლმეურნეებმა მარცვლეულის წითელი აღალი გაგზავნეს პურის ჩასაბარებელ პუნქტში.

სოციალისტური შრომის გმირები ნ. ვ. ბელაძე, შ. ფ. კოტრიხიძე, ა. ვ. ფიკლაური

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის დღესასწაულისადმი

6 ნოემბერს კრემლის სასახლის დიდ დარბაზში შესდგა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, წითელი არმიის წარმომადგენლების, სტახანოველების, დამკვრელებისა და საბჭოთა ინტელიგენციის საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავისადმი.

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები—მისი მშვენება და სიამაყე, ფრონტისა და ზურგის გმირები — შეიკრიბნენ ამ ისტორიულ სხდომაზე. 3.000 კაცს შორის, რომელთაც კრემლის სასახლის უზარმაზარი და დიდებული დარბაზი აავსეს, არიან საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სახალხო კომისრები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, წითელი არმიის გენერლები და ოფიცრები, მრეწველობისა და ტრანსპორტის მეთაურები, შრომითი მამაცობით სახელგანთქმული სტახანოველები, ვამჰენილი მეცნიერები და ხელოვნების მოღვაწენი. ისინი შეიკრიბნენ ამ, რათა შეაჯამონ იმ წლის შედეგები, რომელიც მსოფლიო ისტორიაში შევა როგორც ძირფესვიანი გარდატეხის წელი სამამულო ომის მსვლელობაში, ერა ოდა საბჭოთა მეომრების თავდადებამ, გმირობამ და გაზრდილმა საბრძოლო ოსტატობამ ფრონტზე, დაძაბულმა და მებრძოლურად მოწყობილმა შრომამ ზურგში ჩაშალეს გერმანელთა ყველა ვარაუდი, გაარღვიეს მათი მიჯნები და ნაქები „ზღუდეები“ და დაეხმარნენ წითელ არმიას დაეწყო ოკუპანტების სრული განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან.

რამდენიმე საათის წინათ ჩვენმა ქვეყანამ გიიგო ჩვენი ჯარების ახალი ბრწყინვალე გამარჯვების — გერმანელ ოკუპანტთაგან საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის, ძველისძველი კიევის განთავისუფლებისა და უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის სუვოროვის 1-ლი ხარისხის ორდენით დაჯილდოების ამბავი. როდესაც საზეიმო სხდომის მონაწილენი აქ, კრემლში შეიკრიბნენ, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი ოცდათხი ქვეეშების ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევდა კიევის მამაც განმთავისუფლებლებს, ხოლო ქარხნებისა და ფაბრიკების საამქროებში ახალი ძალითა და აღმავლობით გაჩაღდა თავდადებული შრომა შემტევი წითელი არმიის პატივსაცემად. სასახლის დარბაზსა და კულუარებში ადამიანები მხურვალედ ულოცავდნენ ერთმანეთს საბჭოთა ჯარების ახალ უდიდეს გამარჯვებას. ყოველ სიტყვაში იგრძნობა რწმენა და აღფრთოვანება. ყველას პირზე აყვირა დიდი სტალინის სახელი — ჩვენმა ხალხმა იცის, რომ თავის გამარჯვებებს იგი უ

უცხოელ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მისალმებანი საბჭოთა კავშირისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავთან დაკავშირებით

მის აღმაფეგებულებას მიხეილ კალინინს,
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 26 წლისთავი წელს ემთხვევა ამ დროს, როდესაც თავისუფლებისმოყვარე ხალხები ყველგან გადამწყვეტ დარტყმებს აყენებენ მტერს, რომელმაც გაბედა და სცადა მათი დამონება და დათრგუნვა. ბრძოლის ველზე და მზარდი თანამშრომლობისა და ერთიანი მიზნის არსებობისას გაერთიანებულ ერთა წევრები მიერეკებიან აგრესიის ძალებს გარეულ დამარცხებისაკენ.

ნება მიბოძეთ ამ დღეს მოგილოცოთ თქვენ, საბჭოთა კავშირის ხალხსა და ბელადებს და გამოვთქვა ჩემი და ჩემ თანამემამულეთა დიდი ღტაცება იმ საუცხო სტილის გამო, რომლითაც წითელმა არმიამ უკუაგდო დამპყრობი. წითელ არმიასა და საბჭოთა კავშირის ხალხს ეკუთვნით სამარადისო დიდება და სახელი. მათ უკვდავი ფურცლები ჩასწერეს ტრანინისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში. მათი მაგალითი და თავდადება აღფრთოვანებენ ყველა ძალებს, რომლებიც გაერთიანებული არიან გმირული გმირობისათვის ერთობლივს ბრძოლაში.

ერთიანობის სულისკვეთებით, რაც უფრო თვალსაჩინო გახდა ამას წინათ მოსკოვში დადებულ შეთანხმებებში, და ძალებით, რომლებიც წარმოშობიან ურთიერთგაგებისა, ნდობისა და აქტიური თანამშრომლობისაგან, გაერთიანებული ერები გაანადგურებენ აგრესიის ძალებს და დაამყარებენ და დაიცავენ სამართლიან ხანგრძლივ მშვიდობიანობას.

ფრანკლინ დ. რუზველტი

მის აღმაფეგებულებას მიხეილ ივანეს-ძე კალინინს,
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნაციონალური დღესასწაული ბედნიერ შემთხვევას მაძლევს, რათა შევუერთდე ამ გრძნობებს, რომლებიც თქვენ დღეს აღგაფრთოვანებენ, და თქვენს აღმატებულებას მივმართო ჩემი გულმხურვალე მოლოცვით. მთელი სულითა და გულით მხურვალედ ვსურვებ პირად ბედნიერებას თქვენს აღმატებულებას და გამარჯვებასა და გაფურჩქნას დიდსა და გმირულ, მეგობრულსა და მოკავშირე ერს, რომლის მამაცი წითელი არმია გვიჩვენებს ესოდენ ბევრ სასწაულს, და სწირავს ესოდენ ბევრ პატრიოტულ მსხვერპლს.

მოკამედ რეზა ფეხლევი

მიხეილ ივანეს-ძე კალინინს,
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

ოქტომბრის რევოლუციის 26-ე წლისთავი ახალ შესაძლებლობას მაძლევს ჩეხოსლოვაკიელი ხალხისა და მისი მთავრობის სახელით მოგვმართოთ თქვენ ჩვენი ღრმა სიმპათიები ნაციონალური დღესასწაულის დღეს. წითელი არმიის წარმატებანი და ქვეყნის, თავდაცვაში საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქის გიგანტური მეცადინეობა აღგვაფრთოვანებს ყველას და ახალ ძალებს გვინერგავს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდი სიხარულით ვუერთდები ყველა იმათ, ვინც თქვენ მოგილოცათ დიდი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავი, და ჩეხოსლოვაკიელი ხალხისა და ჩემი სახელით გიძღვნით თქვენ სწრაფი და სრული გამარჯვების ჩვენს საუკეთესო სურვილებს.

დ-რი ედუარდ ბენეში

მის აღმაფეგებულებას ბაფონ მ. კალინინს,
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

ოქტომბრის რევოლუციის წლისთავის გამო, ბატონო თავმჯდომარევ, გითვლით თქვენ ჩემს მოლოცვას და მეგობრული საბჭოთა კავშირის ხალხთა ბედნიერებისა და აყვავების საუკეთესო სურვილებს.

ისმეთ ინენიუ

ბაფონ მარშალ სტალინს

მოსკოვი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნაციონალური დღესასწაულის გამო, კავშირისა, რომლის ძლევამოსილ არმიებსაც გადამწყვეტი წილი შეაქვთ თავისუფლების საქმეში, გთხოვთ თქვენ, მარშალო სტალინ, ერწმუნოთ იმ სურვილებს, რომლებსაც ჩვენ საფრანგეთის სახელით გიძღვნით პირადად თქვენ, აგრეთვე კავშირის მთავრობას, მეთაურებს, ჯარისკაცებსა და ხალხებს.

დე გოლი,
ჟირუ

ლონდონიდან 1943 წლის 7 ნოემბერი

დეპეშა

მარშალ სტალინს

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ისტორიული წლისთავის გამო, როცა წითელი არმია გამანადგურებელ დარტყმებს აგებს სასტიკ ვერაგ ნაცისტ დამპყრობლებს, ხოლო მოსკოვის კონფერენცია ამსხვრევს ნაცისტთა იმედებს გაერთიანებულ ერთა შორის განხეთქილებისას, მოგესალმებით თქვენ არა მარტო კომუნისტური პარტიის წევრებს, არამედ აგრეთვე მუშათა ფართო მასებისა და ხალხის ყველა პროგრესიული ფენების სახელით.

ამხანაგო, შეუძლებელია საკმაოდ შესაფერი სიტყვების პოვნა, რათა გამოვთქვათ სიყვარული, რომელიც ჩვენი ხალხის გულში გამოიწვია თქვენმა დიდმა მოღვაწეობამ არა მარტო თქვენი საყვარელი საბჭოთა ხალხის გასათავისუფლებლად, არამედ გერმანიის მხეცური ფაშისტური ულმობელობით დამონებულ-წვალებული ევროპის ყველა ხალხთა გასათავისუფლებლადაც.

ჩვენ, მუშები, მოუთმენლად ველით იმ დღეს, როცა სრულფასოვან სამხედრო თანამშრომლობას მოჰყვება ნაციზმისა და ფაშიზმის უკანასკნელი ნაშთების საბოლოო მოსპობა.

ამხანაგო, ჩვენ გვახსოვს თქვენი ფიცი ჩვენი დიდი მასწავლებლის ლენინის კუბოსთან. მასთან ერთად თქვენ დაამტკიცეთ თქვენი სიდადე რევოლუციისა და სამოქალაქო ომის

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია სამამულო ომის დღეებში

აკად. ნ. ი. მუსხელიშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას მთელი მუშაობა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში მიმართულია ამ ომიანების გადაჭრისაკენ, რომლებსაც ფაშისტური ფაბრიკა აყენებს ფრონტი და ზურგი. აკადემიის ყველა ინსტიტუტმა და სამეცნიერო დაწესებულებამ ომის დღეებში გარდაჰქმნა მუშაობა და თავისი საქმიანობის ცენტრში დააყენა სპეციალურ დავალებათა სწრაფი გადაჭრის საკითხი.

საგაზეთო წერილში შეუძლებელია აკადემიის ინსტიტუტების ყველა სამუშაოს რაობისა და მნიშვნელობის დაწვრილებით აღწერა. ჩვენ ამ დავასახელებთ მოკლედ უმთავრეს საკითხებს, რაც ინსტიტუტებში დამუშავდა და მოკლედ დავახასიათებთ ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობას ომის დღეებში.

მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებას 9 საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტი აქვს. ყველა ამ ინსტიტუტმა გარდაჰქმნა მუშაობა და ემსახურება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების საქმეს.

მათემატიკურ ინსტიტუტში უკანასკნელ წლებში ჩატარდა ინტენსიური მუშაობა სინგულარულ-ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის დარგში. ამ საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ტექნიკისათვის. ინსტიტუტმა დაამუშავა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები ამ დარგიდან. ინსტიტუტის გამოანგარიშებითი მათემატიკა განყოფილებამ შეასრულა მთელი რიგი სამუშაოები სპეციალური დავალების მიხედვით.

ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტმა მთელი რიგი სპეციდავალება შეასრულა. ამის გარდა შესწავლილ იქნა: ჩათახის რკინის მადნების რაიონის ანომალიის მაგნიტური ველები.

ქიმიური ინსტიტუტი ყველაზე უფრო იყო დატვირთული სპეციდავალებების შესრულებით. ძირითადი მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს ნედლეული რესურსების (ნავთობი, ნახშირი, მარგანეცი და სხვ.) ქიმიურ, თვისებების შესწავლის დარგში. დამუშავდა ტბილისელების წყლებისაგან სხვადასხვა ელემენტების ქიმიური მეთოდით მიღება. ჩატარდა მთელი რიგი სამუშაოები მეტალურგიის დარგში, განსაკუთრებით მარგანეცის ელექტროლიტური მეთოდით მიღების დარგში. ინსტიტუტის მუშაკს რ. ი. აგლაძეს ნაშრომისათვის მარგანეცის ელექტროლიტური დამუშავების დარგში 1942 წელს სტალინური პრემია მიენიჭა.

გეოლოგიისა და მინეროლოგიის ინსტიტუტმა დაამთავრა საქ. სსრ გეოლოგიური რუკის შედგენა და აწარმოებდა ჩვენი ქვეყნის მადნეული რესურსების შესწავლას.

ზოოლოგიური ინსტიტუტი მუშაობდა საქ. სსრ ფაუნის რესურსების ათვისებაზე. ცხოველების განვითარების მექანიკის ლაბორატორიამ დაამუშავა ჭრილობის შებორცების დაჩქარების საშუალებები.

ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მუშაობა მთლიანად დაექვემდებარა თავდაცვის ინტერესებს. ინსტიტუტმა ტვინის შესწავლის რთულ კვლევითს მუშაობასთან ერთად ბევრი რამ გააკეთა კონტუზიების და მათი შედეგების შესწავლისა და მკურნალობის საქმეში.

ენერგეტიკულ სექტორს სერიოზული მიღწევები აქვს.

ასევე დიდ მუშაობას აწარმოებს აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, რომელიც სწავლობდა გალაქტიკის სტრუქტურას, მზის ზედაპირს და გვირგვინს.

ანტისეპტიკური მშენებლობის ბიურომ დაამუშავა ქვიტკირის შენობების აღდგენის სპეციალური კონსტრუქცია და დაგროვა მასალები სსრ კავშირის სეისმურ რაიონებში ნაგებობათა აღდგენის ინსტრუქციის პროექტის შესადგენად.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება 7 საკვლევო-სამეცნიერო დაწესებულებას აერთიანებს. მარის სახელობის ენის ინსტიტუტმა ამ ორ წელში 50 სამეცნიერო ნაშრომი დაამზადა. ნაწილი კიდეც გამოქვეყნდა. თავდაცვის თემატიკიდან აღსანიშნავია ლოგოპათიის პრობლემები (მეტყველების აშლა და მისი მკურნალობა), რომლის დამუშავების შედეგად საავადმყოფოებსა და ჰოსპიტლებში მეტყველების და სმენა აშლას წარმატებით მკურნალობენ. მთელი რიგი შრომები დამუშავდა ქართული და ალ. ქართველური ენების კავკასიური და ახლოაღმოსავლეთური ენებთან დამოკიდებულების დარგში. ფოლიოური მუშაობა წარმოებდა ეგრეთვე მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან პრობლემებზე.

ისტორიის ინსტიტუტი მუშაობას ეწეოდა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფილოლოგიის ხაზით. დამუშავებულია დიდი პრობლემა: „ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე სახელმწიფოს წარმოშობა“. ამ პრობლემის შესწავლის შედეგად გამორკვეულია ისტორიული პირობები, რომელთაც საფუძველი შეუქმნეს სახელმწიფოებრიობის წარმოშობას ქართველთა, სომეხთა, ალბანელთა და მთიანი კავკასიონის ხალხთა შორის. უძველეს ეპოქაში კავკასიის ხალხთა განსახლების და მათი ეთნიური დამოკიდებულების საკითხების გაშუქებამ ნათელჰყო, რომ II საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ქართველებს ეჭირათ ურარტუს და ხეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი, ეს კი რეალურ საფუძველს უქმნის ისტორიული საქართველოსა და წინა-აზიის გენეზისური ნათესაობის საკითხს. ინსტიტუტმა დაამუშავა მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობიდან ფეოდალიზმის ისტორიისა, კაპიტალიზმის წარმოშობისა საქართველოში და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს მუშაობა ქართული ლიტერატურული წყაროების ტექსტის დადგენა გამოცემის ხაზით, როგორიცაა, მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ვარიანტი.

არქეოლოგიის დარგში განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარდა მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრებისას მიღებული მასალების დამუშავებისა და შესწავლის საქმეში. ამ მუშაობამ ნათელჰყო, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის ქართველებს ჰქონდათ სახელმწიფო წყობილება, მალალი ფორმა გარკვეული იერარქიის პრინციპებზე აგებული რთული აპარატით.

ეთნოგრაფიის დარგში მუშაობა მიმართული იყო საქართველოს და კავკასიის ხალხთა მატერიალური ყოფის, სოციალური ურთიერთობისა და უძველესი იდეოლოგიის შესწავლისაკენ. დამუშავებულ იქნა აგრეთვე თავდაცვითი ხასიათის სპეციალური თემები.

ომის პირველი დღეებიდანვე ისტორიის ინსტიტუტმა გარდაქმნა მუშაობა და დაუქვემდებარა იგი ფრონტის ინტერესებს. ინსტიტუტმა დაიწყო პოპულარული ნარკვევების გამოცემა თემაზე: „ქართველი ხალხი ეროვნულ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში“. უკვე გამოიცა: „თათართა ბატონობის ხანა საქართველოში“, „ქართლის ცხოვრების“ ძველი და ახალი ფურცლები“, „ბახტრიონის გმირები“, ეპიზოდები საქართველოს გმირული წარსულიდან და სხვ.

ობილისის ფსიქოლოგებმა ომის პირველი დღეებიდანვე თავისი მუშაობა შეუფარდეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ამოცანებს. შესწავლილ იქნა ადამიანის საბრძოლო მოქმედების ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი, მთელი რიგი საკითხები სამხედრო ფსიქოპათოლოგიისა და ჩატარდა სათანადო სამეცნიერო პრაქტიკული მუშაობა ნეიროლოგიურ ჰოსპიტლებში. პათოლოგიური ფსიქოლოგიის დარგში მთავარი ყურადღება მიექცა სამხედრო ტრავმების ფსიქოლოგიური ბუნების საკითხებს, განსაკუთრებით გამოიყო კონტუზია და კომოცია. საბრძოლო მოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლის დარგში აღსანიშნავია შრომები: „ნება, როგორც საბრძოლო მოქმედების ფაქტორი“, „გმირობის ფსიქოლოგიური ბუნება“, „პანიკის ფსიქოლოგია“ და სხვ.

დიდი მუშაობა ჩაატარა აგრეთვე საქართველოს ხელოვნების ისტორიის სექტორმა არქიტექტურისა და მხატვრობის შესწავლის საქმეში.

მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება დაარსდა ომიანობის დროს, 1942 წელს და მის შემადგენლობაში შევიდა რამდენიმე ძლიერი სამეცნიერო დაწესებულება, სახელდობრ: თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტი, მეცნარეთა დაცვის ინსტიტუტი, მეფუნახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი, მეხბილეობის საცდელი სადგური, მემინდვრეობის საცდელი სადგური, მემინდვრეობის საცდელი სადგური ყარაიაში, მემინდვრეობის საცდელი სადგური ახალციხეში, მეფუნახეობის და მეღვინეობის საცდელი სადგური საქარაში, თბილისის ბოტანიკური ბაღი და სხვა. სწარმოებს სამზადისი და მუშაობა ომისათვის, რომ განყოფილებაში შეიქმნას და გაერთიანდეს სხვა დარგის ინსტიტუტები, რაც მეცნიერებათა აკადემიას საშუალებას მისცემს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობას მიეცეს ერთიანი გეგმიანი სახე, ისეთი როგორსაც ამას მოითხოვს სახელმწიფოებრივი ინტერესები.

სოფლის მეურნეობის განყოფილების წინაშე გადასაწყვეტად სდგას, როგორც წმიდა თეორიული საკითხები, ისევე უაღრესად პრაქტიკული საკითხები. პირველი რიგის საკითხთა შორის სდგას ისეთი თემები, როგორიცაა: მცენარის ბუნების გარდაქმნა და ახალ კულტურულ მცენარეთა შექმნა, საქართველო, როგორც კულტურულ მცენარეთა წარმოშობის კერა და მისი როლი თანამედროვე თვალსაზრისით საჭირო ახალ მცენარეთა წარმოქმნისათვის, საქართველოს კულტურულ მცენარეთა ზონალობის პრინციპები და მისი გადაჯგუფების შესაძლებლობანი.

განყოფილების მრავალმა ინსტიტუტმა ომიანობის პირობებში შეასრულა ფრიად მნიშვნელოვანი სპეციალური დავალება, რომელიც დაეხმარა ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას.

განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებანი წარმატებით მუშაობენ ისეთ საკითხებზე როგორიცაა:

ისეთი ნედლეულის გამოვლინება, რომელიც ეანალოგს ხანშივე უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის სათანადო დარგებს საჭირო მასალით (მთრიმლავი ნივთიერებანი, ვიტამინიანი, სამკურნალო და სხვ. მცენარეები).

სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობისათვის ახალი, ხელმისაწვდომი ნედლეულის გამოვლინება, სასურსათო ბაზის შესწავლა მის გასაუმჯობესებლად და შესაცვლელად.

სოფლის მეურნეობის კულტურების შემეიდროება დროისა და სივრცის მანძილზე და ორი მოსავლის მიღება იქ, სადაც დღემდე ერთ მოსავალს იღებდნენ.

მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის ყველაზე უფრო ეფექტური საშუალებების გამოძებნა, ჩვენი ნედლეულიდან ახალი და იაფფასიანი შხამების მიღება, მისი დანერგვა წარმოებაში.

საქართველოში ისტორიულად გავრცელებული სახელგანთქმული ძველი ტიპის ღვინოების გამოვლინება და მათი ტექნოლოგიის დადგენა.

ძვირფასი კულტურული მცენარეებით ახალი რაიონების ათვისება და ამათთან ერთად მაღალმოსავლიანი ჯიშების (პურის, ვაზის, ხილეულის და სხვათა) გამოყვანა და დანერგვა.

ადგილობრივი მინერალური და ორგანული სასუქების მაქსიმალური გამოყენება და ჩვენი ნიადაგების მელიორაცია-გაუმჯობესება და სხვა მრავალი.

ასეთია ერთობ მოკლე ჩამოთვლა იმ უმთავრეს ნამუშევართა, რაც საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებმა შეასრულეს სამამულო ომის დღეებში და რითაც ისინი შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთელი კოლექტივი აღფრთოვანებულია სურვილით შეიტანოს რაც შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი წვლილი ფაშისტ დამპყრობთა განადგურების დასაჩქარებლად, რასაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს გენიალური ბელადის სანჩოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

დიდი სტალინის ისტორიულ მოხსენებას და ბრძანებას ახალი შრომითი მამაცობით უპასუხებენ ფრონტის დასახმარებლად

საყოველთაო-სახალხო ზეიმი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVI წლისთავის დღესასწაული განსაკუთრებით ნათელი და სასიხარულო იყო საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის. 6 ნოემბერი ღირსშესანიშნავი ამბების დღე იყო: ამხანაგ სტალინის დაჯილდოება სუვოროვის 1-ლი ხარისხის ორდენით, კიევის განთავისუფლება გერმანელი დამპყრობლებისაგან, ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე.

მხურვალედ გამოეხმაურა საბჭოთა ხალხი ამ სასიხარულო ამბებს. ყველგან—ქალაქებსა და სოფლებში, ფრონტზე და ზურგში გაიმართა საზეიმო კრებები, რომლებზეც მშრომელნი და წითელი არმიის მებრძოლნი კისრულობდნენ მტრის რაც შეიძლება მალე გაანადგურებისაკენ მიმართულ ახალ ვალდებულებებს, გამოსთქვამდნენ სიყვარულსა და ერთგულებას მშობლიურ ამხანაგ სტალინისადმი.

ახალი საწარმოო წარმატებებით უპასუხეს ბელადის მოხსენებას, წითელი არმიის ახალი გმირობა დამცველის.

ლენინგრადის მშრომელებმა, ლენინგრადის საბჭოს, ლენინგრადის ფრონტის, წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის სარდლობის, ლენინგრადის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომაზე დიდი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი ამხანაგ სტალინისადმი. სხდომის მონაწილენი ამ წერილში მგზნებარე და გულითად სალამს უძღვნიან ძვირფას ბელადს. ისინი აჯამებენ თავიანთი მშობლიური ქალაქისათვის გასულ წელს წარმოებული შეუპოვარი და წარმატებითი ბრძოლების შედეგებს. ისინი სწერენ:

„ჩვენ ფიცსა ვდებთ სამშობლოს და ბოლშევიკური პარტიის წინაშე, ფიცსა ვდებთ თქვენს წინაშე, ამხანაგო სტალინ, რომ ლენინგრადელები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ქობულეთის რაიონის სოფ. ულიანოვკის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის ჩაის სტახანოველი მკრეფავი ხაჯერ კაკაბაძე. ფოტო რ. აკოფოვისა.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრა

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენებამ მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1943 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშაობა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივში ერთსულოვანი აღფრთოვანება და ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

დეპოს მთელი კოლექტივის სულისკვეთება გამოხატა მატინგზე თავის გამოსვლაში ორდენოსანმა მეშინქანემ, მატარებელთა ლუნინური ტარების ოსტატმა ამხ. ნ. ყიფიანმა.

მან აღნიშნა, რომ დიდი სტალინის მიერ ნათქვამმა სიტყვებმა ჩვენი ტრანსპორტელების დამსახურების შესახებ ახალი ძალა შემატა ტრანსპორტის დარგის ყველა მუშას, მოსამსახურესა და სპეციალისტს. ამხ. ნ. ყიფიანმა განაცხადა, რომ იგი კისრულობს ორთქლმავლის გარეცხვათაშორისო ურემონტო გარბენა 100.000 კილომეტრიდან გაზარდოს 150.000 კილომეტრამდე.

დეპოს კომკავშირული საფრონტო ბრიგადის წარმომადგენელმა სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ბ. ტურაშვილმა მთელი ბრიგადის სახელით იკისრა დიდი სტალინის ისტორიული მოხსენების საპასუხოდ ნოემბერში გეგმის გადამეტებით გარეცხვითი რემონტიდან გამოშვენ 5 ორთქლმავალი. დეპოს ერთ-ერთი საამქროს ოსტატმა ამხ. მ. პოსტოლოვმა იკისრა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულოს ნოემბრის საწარმოო დავალებები.

მატინგზე დეპოს კოლექტივმა იკისრა შემდეგი ახალი საწარმოო ვალდებულებები: გეგმის გადამეტებით ნოემბერში გამოუშვან აწეული რემონტიდან 1 ორთქლმავალი, შეამცირონ სარემონტოდ ორთქლმავლების დაყენების ვადა ერთი დღით; გეგმის გადამეტებით ნოემბერში გარეცხვითი რემონტიდან გამოუშვან 12 ორთქლმავალი და დაამზადონ წითელი არმიის მიერ გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებული რაიონების რკინიგზებისათვის დახმარების გასაწევად 5 ორთქლმავლის სათადარიგო ნაწილთა კომპლექტები.

სტალინის სახელობის უნივერსიტეტში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში გუშინ შესდგა პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და მუშა-მოსამსახურეების მატინგი, მიძღვნილი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ა. ბ. სტალინის მოხსენებისადმი. მატინგი გახსნა უნივერსიტეტის პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ამხ. ს. სიგუამ. დარბაზში დიდხანს არა ცხრებოდა მქუხარე ოვაცია დიდი სტალინის პატივსაცემად. ამხანაგ სტალინის მოხსენება და ბრძანება მატინგს გააცნო უნივერსიტეტის პროორექტორმა პროფ. ა. ხარაძემ. მგზნებარე სიტყვები წარმოსთქვეს პროფესორებმა: კ. მეგრელიძემ, პ. ქომეთიანმა, სტუდენტებმა ბაკიძემ და მაისაიამ. ისინი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ დიდი სტალინის ისტორიული მოხსენება და ბრძანება საბჭოთა ინტელიგენციას, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, ახალ ძალებს მატებს შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის სამშობლოს სასახელოდ.

აკადემიკოსმა ა. შანიძემ მიტინგზე განაცხადა, რომ ზღაპარი ფაშისტური გერმანიის უძლეველობის შესახებ საბოლოოდ გაკამტვერებულია, ცხოვრებამ დაადასტურა დიდი სტალინის გენიალური წინასწარხედვა გერმანელ ფაშისტთა განადგურების გარდუვალობის შესახებ. დიდი სტალინის დახასიათება საბჭოთა ინტელიგენციის მუშაობისა სამშვიდობო ომის ვითარებაში გვავალებს ყოველთვის პატრიოტული თავდადებით ვიმუშაოთ და ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს გამარჯვების დასაჩქარებლად.

უნივერსიტეტის კოლექტივი ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნავს, რომ ბელადის ისტორიული მოხსენების საპასუხოდ ახალი ენერგიით გაშლის საკვლევო მუშაობას, ამაღლებს სწავლის ხარისხს, რათა სამშობლოს მისცეს რაც შეიძლება მომზადებული კადრები.

ბელადის სახელობის ქარხანაში

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალთა-ვაგონთა-სარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები ღიდიანი აღფრთოვანებით შეხვდნენ თავიანთ ნაკელმეფურ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ა. ბ. სტალინის მოხსენებას შრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1943 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე.

მიტინგი გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მ. ეგორაშვილმა. დიდი ყურადღებით და ღრმა ინტერესით მოისმინეს მიტინგის მონაწილეებმა ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენება, რომელიც მიტინგზე წაიკითხა ინჟ. ხოჯაშვილმა.

მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა ქარხნის კოლექტივის მოწინავე ადამიანებმა საყალიბო საამქროს სტახანოველმა ნიშნოსანმა ამხ. ე. კერესელიძემ და საქვაბე საამქროს სტახანოველმა ამხ. ი. სელიხოვმა აღნიშნეს, რომ დიდი სტალინის მიერ მოცემულმა მუშათა კლასის დამსახურების მაღალმა შეფასებამ ქარხნის მთელი კოლექტივი აღფრთოვანა ახალი შრომითი გმირობისათვის. მათ განაცხადეს, რომ ბელადის სახელობის ქარხნის მუშები და სპეციალისტები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა ჩვენს შემტევ წითელ არმიას კიდევ უფრო მეტი რაოდენობით ექნეს მტრის გასანადგურებლად საჭირო სამხედრო ტექნიკა. ამხ. ე. კერესელიძემ თავისი ბრიგადის სახელით იკისრა ნოემბერში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7 ვაგონის გოგორ-წყვილისა გამოუშვან 14 ვაგონის გოგორ-წყვილი და დავალება 200 პროცენტით შეასრულონ. ამხ. ი. სელიხოვმა განაცხადა, რომ იგი, დიდი სტალინის მოხსენებით აღფრთოვანებული, კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობის ტემპებს და ნოემბრის საწარმოო დავალებას დიდი გადაჭარბებით შეასრულებს.

მიტინგმა ერთხმად მიიღო წინადადება სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარ ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩისათვის მისალოცი დეპეშის გაგზავნის შესახებ მისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების გამო. მისალოცი დეპეშის ტექსტი ერთხმად იქნა მიღებული.

მიტინგის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივი ახალ საბრძოლო ვალდებულებებს კისრულობს დიდი სტალინის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის.

საბჭოთა ინტელიგენციის მთელი ცოდნა და ძალღონე მფეარზე გამარჯვების საქმეს

გუშინ, 9 ნოემბერს, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციაზე დარბაზში შესდგა აკადემიის მუშაკთა მიტინგი, მიძღვნილი თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ სტალინის მოხსენებისადმი მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1943 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე. მიტინგი გახსნა მეცნიერებათა აკადემიის უფროსმა მეცნიერ მუშაკმა ნ. მახარაძემ, რომლის შესავალი სიტყვის შემდეგ აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლულმა მდივანმა ამხ. ს. ჟღენტმა წაიკითხა ამხანაგ სტალინის მოხსენება.

სიტყვები წარმოთქვეს აკად. კ. კეკელიძემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. ნიკიტინმა და პროფ. ვ. დონდუამ.

დამსწრეთა საერთო აზრი გამოსთქვა აკად. კ. კეკელიძემ, რომელმაც განაცხადა:

— ერთი წლის წინათ, როცა ჩვენი ქვეყანა დიდ საფრთხის წინაშე იდგა, დიდმა სტალინმა, გამამხნევებელი, ისტორიული სიტყვა გვითხრა: ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული.

— ჩვენი საოქტომბრო ზეიმი წელს განსაკუთრებით დიდ სადღესასწაულო დღედ გადაიქცა, — განაგრძო აკად. კ. კეკელიძემ. ამ დღეს ჩვენ ისტორიული გამარჯვების ვითარებაში ვიდღესასწაულეთ XXVI წლისთავი დიდი ოქტომბრისა, რომლის მონაპოვართა განადგურებას ლამობდნენ ჰიტლერელი არამზადები. ულრმესი სიხარული განვიცადეთ, როცა რადიომ გვაცნობა, რომ ვერაგ მტერს სახელოვანმა წითელმა არმიამ ხელიდან გამოგლიჯა კიევი, რომელიც არა მარტო ჩვენი მომავალ უკრაინის დედაქალაქია, არამედ ყველა რუსული ქალაქის დედად ითვლება.

ჩვენ ვისმენეთ დიდი სტალინის ისტორიული, გამამხნევებელი მოხსენება, რომელშიც მოცემულია ჩვენი გამარჯვებების გენიალური ახსნა-დასაბუთება და დასახულია დიდი პერსპექტივა.

დიდმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი ხალხის და კერძოდ საბჭოთა ინტელიგენციის მუშაობას. ეს მაღალი შეფასება გვავალებს კიდევ უფრო დაძაბულად ვიმუშაოთ, მოვახმაროთ ჩვენს გმირ წითელ არმიას და ხალხს მთელი ჩვენი ცოდნა, რათა მოვაახლოვოთ მტრის საბოლოო განადგურება.

გაუმარჯოს ჩვენს მამას ბრძენ სტალინს!

მხურვალე ტაშმა დაფარა ორატორის სიტყვები. მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივი ოვაციით მიესალმნენ დიდ სტალინს, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობით წითელი არმია ანადგურებს ფაშისტ დამპყრობლებს და ათავისუფლებს საბჭოთა მიწა-წყალს.

ჭიათურის

დეპეშები

რეიხერის სააგენტო რუნდშტედტის მიერ კიევრისადმი გაგზავნილი წერილის შესახებ

ლონდონი, 6 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც ევროპაში იმყოფება, გადმოგვცემს, რომ გერმანელთა ჯარების სარდალმა საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპაში ფელდმარშალმა ფონ რუნდშტედტმა წერილით მიმართა ჰიტლერს, რომელშიც განაცხადა, რომ, რამდენადაც ადამიანს ძალუძს განსაჯოს, ომი წაგებულია. ეს ცნობები მიღებულია რუნდშტედტის მახლობელთა წრიდან. რუნდშტედტმა წერილში დასძინა, რომ მას არ ესმის, თუ რატომ დაუყოვნებლივ არ გადადგება ჰიტლერი თავისი პოსტიდან სამშობლოს ინტერესებისათვის, რათა შესაძლებლობა მისცეს ხალხს გამართოს მოკავშირეთათვის მისაღები საზავო მოლაპარაკება.

გერმანიიდან მიღებული ცნობები ადასტურებენ, რომ ამას წინათ შაახენში გაიმართა პარტიული კონფერენცია. ყველა ამ ცნობაში ნათქვამია, რომ ჰიტლერი კონფერენციას არ დასწრებია. აღნიშნავენ, ეს პირველია, რომ იგი წინასწარ არც კი გააფრთხილეს პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებო. ამან დიდი სენსაცია გამოიწვია გერმანიაში.

კომუნიკე იდენისა და მენემენჯიოღლუს მოღაპარაკების შესახებ

ლონდონი, 8 ნოემბერი (საკდესი). როგორც ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, კაიროში გამოქვეყნდა შემდეგი კომუნიკე იდენისა და მენემენჯიოღლუს მოლაპარაკების შესახებ: „ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ანტონი იდენი და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი მენემენჯიოღლუ ერთმანეთს შეხვდნენ კაიროში 1943 წლის 5 და 6 ნოემბერს. მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა საერთო სიტუაციის გამო მოსკოვის კონფერენციის შედეგების მიხედვით. საუბარი ორიგე მინისტრს შორის მიმდინარეობდა იმ მეგობრობისა და კავშირის ატმოსფეროში, რომლებითაც დაკავშირებულია ორივე ქვეყანა“.

მღელვარება ავსტრიაში

შეტაკებანი ვენის მოსახლეობასა და „სს“-ელთა ჯარებს შორის

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სტოკჰოლმელი სპეციალური კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ, იქ მიღებული ცნობების თანახმად, 6 ნოემბერს ვენაში გაიმართა მასობრივი ანტიჰიტლერული დემონსტრაცია. მოხდა შეიარაღებული შეტაკება მოსახლეობასა და „სს“-ელთა ჯარებს შორის. შვეიცის გაზეთ „დაგენს ნიუხეტერის“ ციურიხელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამ შეტაკებათა დროს ასობით ადამიანებმა სერიოზული ჭრილობები მიიღეს; მრავალი სანიტარული მანქანა ეზიდებოდა დაჭრილებს. მოკლულთა რაოდენობის გამორკვევა შეუძლებელია, ვინაიდან ის რაიონი, სადაც შეტაკებები მოხდა, გარშემორტყმული იყო. ამ დღეს ქალაქის ხსლებზე გამოჩნდა ავსტრიის ნაციონალური ბაირაღები, ხოლო შენობების კედლებზე—ანტიგერმანული წარწერები. გაკრული იყო მრავალი პლაკატი „სს“-ელთა ჯარებს ეწერებოდა: „გაუმარჯოს თავისუფალ ავსტრიას!“. ტიროლისა და შტირიის მთებში მოსახლეობა დემონსტრანტებთან სოლიდარობის ნიშნად კოცონებს ანთებდა.

სტოკჰოლმი, 9 ნოემბერი (საკდესი). შვეიცის გაზეთ „ფეტონბლადეტის“ ბერლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ავსტრიაში, ისევე როგორც გერმანიის მიერ ოკუპირებულ სხვა ქვეყნებშიც, ყველა უმნიშვნელოვანესი ადმინისტრატიული და სამეურნეო პოსტი უკავიათ გერმანიიდან ჩამოსულ გერმანელებს. ავსტრიის მოსახლეობა გერმანელებს აშკარა მტრობით ეკიდება. ხელისუფალნი აპატიმრებენ და სიკვდილით სჯიან მრავალ ავსტრიელს. ავსტრიაში 30 ათასი „სს“-ელი იმყოფება.

სომეარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 7 ნოემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკის მე-5 არმიის ფრონტზე გაფთრებული ბრძოლები სწარმოებს. ამერიკის ჯარები უტბევენ მტრის დასაყრდენ პუნქტებს. ინგლისის მე-8 არმიის ნაწილები გამაგრდნენ დაკავებულ ტერიტორიაზე და ხელთ იგდეს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მაღლობი. დაკავებულია აგრეთვე პუნქტები კუპელო, პალმოლი და ტუფილო.

ლონდონი, 7 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 6 ნოემბერს მე-8 არმიამ წინ წაიწია 10 კილომეტრით 30 კილომეტრ სიგრძის ფრონტზე. გერმანელები სასწრაფოდ იხევენ უკან მდინარე გარილიანოდან და დიდძალი სამხედრო ქონება მიატოვეს.

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ ინგლისის მე-8 არმიის ფრონტზე მოწინააღმდეგე განაგრძობს ნგრევას თავისი უკანდახევის გზაზე, მაგრამ ინგლისელთა ჯარებმა წინ წაიწიეს ფრონტის მთელ ხაზზე. ჩრდილოეთის უბანზე მოკავშირეთა ჯარებმ მიაღწიეს პოზიციებს, რომლებიც მდინარე სანგროს დაჰყურებს. ძლიერი წვიმები აბრკოლებდა ამერიკის მე-5 არმიის ოპერაციებს, მაგრამ მე-5 არმიის ნაწილებმა რამდენადმე წაიწიეს წინ და გაიუმჯობესეს წინათ დაკავებული პოზიციები.

7 ნოემბერს ღამით მსუბუქმა ბომბდამშეგებმა იერიში მიიტანეს ნაესადგურ დურაცოზე (ალბანეთი). საწყობისათვის პირდაპირი მოხვედრების შედეგად ძლიერი აფეთქება მოხდა.

ამერიკის ავიაციამ დაბომბა ფერინი

ლონდონი, 9 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის თვითმფრინავებმა დაბომბეს ბურთული საკაესარის ქარხანა ტურინში (ჩრდილოეთ იტალია).

მდგომარეობა უნგრეთში

სტამბოლი, 7 ნოემბერი (საკდესი). უნგრელი ხელისუფალნი მეტად შეშფოთებული არიან უნგრეთში შინაპოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებით. ჰრესა ჩიკის, რომ „უნგრეთში არ არის მშვიდობიანობა“. გაზეთ „ბესტერ ლოიდის“ სიტყვით, გლეხები შეუპოვრად უწევენ საბოტაჟს სურსათის ჩაბარებას და უარს ამბობენ გადასახადების შეტანაზე. გაზეთი იუწყება აგრეთვე მოსახლეობასა და პოლიციის შორის შეტაკების მრავალი შემთხვევის შესახებ. „ბუდაპეშტში, — სწერს „ბესტერ ლოიდი“, — დღითი დღე ხდება თავდასხმა პოლიციელებზე“.

სტამბოლში მიღებული ცნობებით, უნგრელ ხელისუფალთ დიდ საზრუნავს უჩენენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან ნაწილების ხელახლა შესადგენად მოსული ჯარისკაცები. არსებული ცნობებით, ამას წინათ დასავლეთ უნგრეთის ერთ-ერთ რაიონში დააპატიმრეს 50-ზე მეტი უნგრელი ჯარისკაცი, რომელთაც ბრალი ედებათ დამარცხების განწყობილების გავრცელებაში. უნგრელ სამხედრო ხელისუფალთა ბრძანებით ყველა უნგრელ ჯარისკაცს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ფრონტიდან დაბრუნებულან, განსაკუთრებულ „პოლიტიკურ კარანტინში“ ატარებენ. უნგრეთში ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში მათ ეკრძალებათ ყაზარმებიდან გამოსვლა.

კოპენჰაგენში კვლავ საგანგებო წესები გამოაცხადეს

სტოკჰოლმი, (საკდესი). ჰიტლერულმა სააგენტომ — გერმანიის საინფორმაციო ბიურომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ გაცემულია განკარგულება კოპენჰაგენში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ. ჰიტლერული სააგენტო აღნიშნავს, რომ ეს ღონისძიება გამოწვეულია დანიის დედაქალაქში ჩადენილი ახალი დივერსიული აქტებით. (ჰიტლერულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ ამ ცოტა ხნის წინათ ფორმალურად გააუქმეს საგანგებო წესები დანიაში, რითაც ცდილობდნენ მოეჩვენებინათ, თითქოს დანიაში „ყველაფერი რიგზეა“).

იტალიელ ჯარისკაცებს არა სერი ჰიტლერელებს ემსახურონ

ლონდონი, (საკდესი). გაზეთი „დეილი ექსპრესი“ იუწყება, რომ კომოს რაიონის ტყეებში დამალულ იტალიელ ჯარისკაცთა საერთო რიცხვი სულ ცოტა 5 ათასს აღწევს. მათ ბანაკები შეჰქმნეს და მუდმივი კავშირი დაამყარეს სამოქალაქო მოსახლეობასთან, რომელიც მათ სურსათით და სამარი მასალითაც კი ამარაგებს. ვერც ერთი გერმანელი ჯარისკაცი ვერ ბედავს საღამოს ქალაქების — კომოს, ლეკოს და ბელაჯოს ფარგლებს გასცილდეს. კომოსა და ლეკოს შორის შეწყვეტილია მატარებლებისა და გემების მიმოსვლა. იტალიელი პარტიზანები ფაქტიურად კონტროლს უწევენ კომოს ტბის ირგვლივ მდებარე მთელ რაიონს.

სტოკჰოლმი, (საკდესი). გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ იუწყება, რომ ვენეციის პროვინციაში მოქმედებს დაახლოებით 30 ათასი იტალიელი პარტიზანი. ისინი კარგად არიან შეიარაღებულნი და აბრძვიან გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

უცხოეთის ქრონიკა

საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე სამი კვირის მგზავრობის შემდეგ ვაშინგტონს დაბრუნდა ა. შ. შტატების ფინანსთა მინისტრი მორგენტაუ.

ალიასკის დასაცავად შექმნილია განსაკუთრებული სარდლობა, რომელიც არ ექვემდებარება ა. შ. შტატების დასავლეთ სანაპიროს დაცვის სარდლობას. (საკდესი).

კიევო, მშობლიურო ქალაქო!

განთავისუფლებულია კიევი!.. ამ სიტყვებმა —წითელი არმიის გამარჯვებისა და დიდების ამბავმა, რომელიც ეთერით გადმოცემულ იქნა ჩვენი სამშობლოს გულიდან—მოსკოვიდან, ყოველ საბჭოთა ადამიანში სიხარული და ზეიმი გამოიწვია. გარბის დნეპრიდან ფაშისტი მხეცი, და დნეპრი—ჭაღარა და მძლავრი —მიაქანებს თავის უზე ლურჯ წყალს, მკერდიდან ირეცხავს მტრის შავ სისხლს.

დნეპრის მარჯვენა მაღალ ნაპირზე მდებარე, ლამაზი ტყეებით, ხევებითა და მდელოებით შემორკალული, ამწვანებულ ბაღებსა და პარკებში ჩამჯდარი, მდინარის ლურჯ არშიაზე შემოვლებული კიევი—ასე იცნობენ მას.

იგი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. მისი დაარსება შორეულ დროს ეკუთვნის და მრავალი ხალხური ლეგენდის შინაარსს შეადგენს. ორიგ ერთ ქალაქზე არ აღბეჭდილა ისე, როგორც კიევზე, ისტორიის დიდებული და მკაცრი სვლა. ჯერ კიდევ ათასი წლის წინათ იგი რუსეთის ვრცელი სამთავროს სატახტო ქალაქი იყო. მთავარ ოლგის ხელისუფლების ქვეშ აღმოსავლეთის სლავების—დნეპრისპირა და ილმენისპირა მიწების გაერთიანებამ, რომელსაც ეწოდა „რუს“ (რუსეთი) და რომელსაც სატახტო ქალაქად კიევი ჰქონდა, დასაწყისი მისცა კიევის მძლავრ სახელმწიფოს. მის წიაღში წარმოიშვა მაღალი და ბრწყინვალე კულტურა, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედო რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების ნაციონალურ კულტურას. კულტურის სიმძლავრისა და სიმაღლის მიხედვით მას თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ევროპის სახელმწიფოთა შორის. ბიღინებში, ხალხურ სიმღერებში ასახულია ხსოვნა კიევის რუსეთისა, როგორც რუსეთის ისტორიის ბრწყინვალე ეპოქისა.

კიევი—დიდი მთავრების სატახტო ქალაქია, ძველი რუსეთის გონებრივი ცენტრია, რუსეთის ქალაქების დედაა. დიდი მთავარი ვლადიმერი იქ იღებდა ბიზანტიელ, ბერძენ, არაბ ვაჭრებს. მისი მაღლობებიდან გადაგდებულ იქნა დნეპრში წარმართული ღმერთის პერუნის კერპი. და ვლადიმერი დაჰყურებდა „რუსეთის მონათვლას“.

კიევის განძქმული სილამაზე და სიმდიდრე მისკენ იზიდავდა მტაცებელ მომთაბარეთა ურდოებს. მას თავს ესხმოდნენ და ანადგურებდნენ პაჭანიგები და ყივჩაღები. რუსი ხალხის ერთ შედეგში—„იგორის ლაშქრობის ამბავში“ განსაკუთრებული მხატვრული ძალით არის აღწერილი მთავრის გალაშქრება ყივჩაღების წინააღმდეგ. პოეტი მგზნებარე მოწოდებით მიმართავს მთავრებს გაერთიანდნენ რუსეთის მიწა-წყლის დასაცავად: „ოქროს უზანგში შესდგით ფეხი, ბატონებო, ახლანდელი შეურაცხყოფისათვის, რუსეთის მიწა-წყლისათვის“...

დიდი მთავრის იაროსლავის სიკვდილის შემდეგ რუსეთის დაყოფამ წვრილ სამთავროებად ძლიერ დაასუსტა იგი, რითაც სარგებლობდნენ მომთაბარეები. 1240 წელს კიევმა განიცადა ბათუს ურდოების საშინელი თავდასხმა. თათრებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს, დღისით და ღამით ტარნავდნენ მის კედლებს და, ბოლოს, შეანგრიეს. კიეველები მამაცურად იცავდნენ თავს, განაგრძობდნენ ბრძოლას შენგრეულ კედელთან. ბათუს ურდოები „ბალახსავით სთიბავდნენ ხალხს“. კიევი საშინლად იქნა აოხრებული, გაუკაცურდა.

შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში იტანჯებოდა კიევი. მოსახლეობა, დაბეგრილი იყო აუტანელი გადასახადებით. კიევი იწვოდა გლეხთა ომებისა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის აჯანყებათა ცეცხლში. იღვრებოდა უკრაინელი ხალხის სისხლი, წითლად იღებებოდა დნეპრი.

ბრძენი პოლიტიკოსი ბოგდან ხმელნიცკი მიხვდა, რომ უკრაინას იხსნიდა „რუს ძმასთან“ მჭიდრო კავშირი. 1654 წელს კიევმა ერთგულება შეჰფიცა რუსეთის მეფეს.

დაიწყო კიევის აღორძინება, მისი ზრდა და აყვავება. იგი გადაიქცა უკრაინისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთი მხარის გონებრივი ცხოვრების ცენტრად. მთელ მოწინავე რუსეთთან ერთად იგი ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი გახდა. კიევი დეკაბრისტთა სამხრეთის საზოგადოების ფაქტიური ცენტრი იყო. კიევში ჰქუხდა ტარას შევჩენკოს მგზნებარე სიტყვა მეფის ჯალათების წინააღმდეგ, თვისტომი და რუსი პანების სისაძაგლისა და სიმკაცრის წინააღმდეგ.

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებისას კიევმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა მანუფაქტურულ მოძრაობის საქმეში. თებერვლის რევოლუციის დროს, ოქტომბრის დღეებში მას მაღლა ეჭირა ქალაქ-რევოლუციონერის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლის დროშა.

სამოქალაქო ომის წლებში იგი რიგაქციის შავბნელი ძალების გაათრებული ბრძოლის ასპარეზი გახდა. უკრაინელ ნაციონალისტთა გამცემლობის, გერმანელ ინტერვენტებთან ცენტრალური რადის შეთანხმების მეოხებით კიევი 1918 წლის მარტში გერმანელებმა დაიკავეს. ეს მტაცებლები და ბანდიტები ხვრეტდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს, ძარცვავდნენ უკრაინის ქალაქებსა და სოფლებს.

დიდ მოძმე რუს ხალხთან უკრაინის მშრომელთა მტაცეკ კავშირმა ხელი შეუწყო კონტრრევოლუციის ყველა შავბნელი ძალების დაძლევა-გაფანტვას, ყველა ინტერვენტთა განდევნას. 1920 წელს კიევი საბჭოთა ქალაქი გახდა.

დაიწყო მშვიდობიანი მშენებლობის წლები, სტალინური ხუთწლედების წლები—განთავისუფლებული უკრაინის აყვავება სსრ კავშირის ხალხთა დიად ოჯახში. კიევი გახდა უდიდესი სამრეწველო ცენტრი, უკრაინის სს რესპუბლიკის დედა-ქალაქი—უკრაინის დიდი კულტურის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ცენტრი. კიევი—სასახლეებისა და უმაღლესი სასწავლებლების, ქარხნებისა და თეატრების, სკოლებისა და მუზეუმების, უკრაინის სიმაზისა და დიდების, უკრაინელი ხალხის სიყვარულისა და სიამაყის ქალაქი გახდა.

მაგრამ შავ ღრუბლად ჩამოწვა მას, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანას, 1941 წლის 22 ივნისის დილა. ტოტუტარების ბრწყინვალე ასფალტი მოფენილი იყო წაბლის თეთრ-ვარდისფერი ფურცლებით. ამწვანებული პარკებისა და ბაღების ხეებზე ღილის ნამი ბზინავდა. ლამაზ ფართო ქუჩებში მყუდროება იყო—ქალაქს ეძინა. უეცრად გაისმა პირველი აფეთქების გრიალი. გამოეღვიძა ხალხს. გამოეღვიძათ შეშინებულ ბავშვებს, ატირდნენ... მუხანათი მტერი ქურდივით, მკვლელივით შემოიჭრა უკრაინის ლურჯ ცაში და ბომბები დაუშინა მძინარე ქალაქს. კვლავ მოვიდნენ ველური ურდოები, რომლებმაც ბარბაროსობითა და სიმკაცრით გადააჭარბეს პაჭანიგებსა და ყივჩაღებს, ბათუს ურდოებს...

ორგზეა ფაშისტი მხეცები ორ წელიწადს თარეშობდნენ კიევში, უკრაინელი ხალხის სისხლით რწყავდნენ კიევის წმიდა მიწა-წყალს. გერმანელები ორ წელიწადს ძარცვავდნენ, სწვავდნენ და ანგრევდნენ თვალწარმტაც ქალაქს, მაგრამ ვერ გასტეხეს მისი თავისუფლებისმოყვარე სული, ვერ დააჩოქეს იგი. იგი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ ცოცხლობდა და იბრძოდა, სძულდა დამპყრობნი და შურს იძიებდა მათზე.

კიევი კვლავ საბჭოთა ქალაქია, ახლა უკვე სამუდამოდ! გერმანელი ბანდიტების მიერ დანგრეული და დამწვარი, იგი მალე აეღორძინება სასახლეებით, თავისი ამწვანებული პარკებით, აივსება შრომის, მჩქეფარე სიცოცხლის სასიხარულო ხმაურით.

კიევი... გხედავ, ჩემო მშვენიერო ქალაქო! მესმის, როგორ შრიალებენ შენი აბრეშუმის დროშები, როგორ ხმაურობენ ალვისხეები შენს მაღლობებზე და წაბლები შენს ქუჩებში, როგორ ყდერს შენი მკერდიდან გამარჯვების სიმღერა დიდ ბელადზე:

„Из-за гир, з-за гир высоких
Сизокрыл орэл лэыить,
Нэ эламаты крыл широких,
Того льоту нэ спиныть“...*)

დიახ, ვერავინ ვერასოდეს ვერ მოსტეხს მძლავრ ფრთებს უკრაინელ ხალხს, ვერ შეაჩერებს მის არწივისებურ ფრენას თავისუფლებისაკენ, ბედნიერებისაკენ სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში.

ლოფიო ლევიტინა
უკრაინის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

*) „სიმღერა სტალინზე“, სიტყვები მ. რილსკისა, მუსიკა რევუცკისა.

ანაპის 414-ე დივიზიის დელეგაცია საქართველოში. **სურათზე** (მარცხნიდან მარჯვნივ): წითელარმიელი ანდრო გოშხოთელიანი, უფროსი ლეიტენანტი აკაკი წურწუმია, უფროსი ლეიტენანტი იაკობ კეზერაშვილი, მაიორი ლეო ჩიქვინიძე, კაპიტანი შალვა დავითულიანი, კაპიტანი ალექსანდრე ხარატიშვილი, მაიორი გიორგი ხვინგია.
ფოტო რ. აკოფოვისა.

ანაპის 414-ე მსროლელი დივიზიის დელეგაცია თბილისში

6 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ანაპის 414-ე მსროლელი დივიზიის დელეგაცია. დელეგაციამ ოქტომბრის XXVI წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს მშრომელებს უპატაკა დივიზიის მიღწევებზე, ქართველი რიგითი მებრძოლების, სერჟანტებისა და ოფიცრების გმირობის, სიმამაცისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადების შესახებ. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: სწრაფი მანევრირების მომმართებაში და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფრონტელთა ბავშვებს, მათს მოწყობას საბავშვო დაწესებულებებში (ბაგებში, ბაღებში, სანატორიუმებში, საბავშვო სახლებში), მათს უზრუნველყოფას ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, კვებით, სასკოლო ნივთებით. კვირეულის განმაღლებაში გამოვლინებულ და აღკვეთილ უნდა იქნას თუ სადმე არის დამახინჯებანი ფრონტელთა ოჯახებისათვის მიკუთვნებულ შეღავათებში, დახმარებისა და პენსიების გაცემაში, საბინაო-საყოფაცხოვრებო მოწყობაში.

ფრონტელთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მრავალი საშუალება არსებობს. ამ მხრივ კარგი იქნება მივბაძოთ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ოლქებისა და რაიონების მაგალითს. მაგალითად, ივანოვოს ოლქის შურიხინის სასოფლო-სამეურნეო არტელ „დრუჟნაია სემიას“ წევრთა ინიციატივით რაიონის კოლმეურნეობებში იქმნება ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდები, რომლებშიც თითოეულმა მომუშაე კოლმეურნემ გამოჰყო სამი შრომადღე.

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში ფრონტელთა ოჯახების დახმარების ერთთვიურის ინიციატორებად გამოვიდნენ კომკავშირელები. 25 ათასი კომკავშირელი ვაჟი და ქალი დაეხმარა ფრონტელთა ოჯახებს მოსავლის აღებაში, მთვლი შეაკეთეს 13 ათასი ბინა, მოამზადეს შეშით 15 ათასი ოჯახი და სხვ. დიდ დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ ეგრეთწოდებულ „თემურელთა რაზმებს“, რომლებიც პიონერებისაგან შესდგებიან.

ფრონტელთა ოჯახების დახმარების კვირეულის ჩატარებას სათაეში ჩაუდგებიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა სახელმწიფო დახმარების და საყოფაცხოვრებო მოწყობის განყოფილებები.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თითოეული საბჭოთა ადამიანის ღირსების საქმეა მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაატარონ ეს უაღრესად პატრიოტული ღონისძიება.

საქართველოს მშრომელები, აღფრთოვანებულნი ჩვენი გმირი წითელი არმიის უდიდესი გამარჯვებებით, ჩვენი მეომრების გმირული და თავდადებული ბრძოლით, არაფერს დაიშურებენ ჩვენი სამშობლოს თავდადებულ დამცველთა ოჯახების დასახმარებლად და თავიანთ წვლილს შეიტანენ ამ მეტად მნიშვნელოვან პატრიოტულ საქმეში.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების მეორე კვირეული

დღეს საქართველოს სს რესპუბლიკაში იწყება სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების მეორე კვირეული. პირველი კვირეული საქართველოს მშრომელებმა ჩაატარეს ოქტომბრის ოლქის მშრომელთა პატრიოტული ინიციატივის მიხედვით 1943 წლის თებერვალში.

ფრონტელთა ოჯახებისათვის ზრუნვა წითელი არმიისათვის მთელი ჩვენი ზრუნვის ნაგავარია.

საბჭოთა სახელმწიფო განუწყვეტლივ იჩენს უდიდეს მზრუნველობას ფრონტელთა ოჯახებისადმი. პენსიები, დახმარებები, შეღავათები გადასახადებში, ბავშვთა უფასო სწავლება სკოლებში, საბინაო-საყოფაცხოვრებო მოწყობა, ფრონტელთა ოჯახების წევრების მოწყობა სამუშაოზე, ბავშვთა აღზრდაში დახმარების გაწევა—ყოველივე ეს მტკიცედ დაკანონებულია საბჭოთა მთავრობის მიერ.

მაგრამ მშრომელები თავიანთი ინიციატივითაც დიდ მზრუნველობას უწევენ წითელი არმიის მებრძოლთა და ოფიცერთა ოჯახებს.

პირველი კვირეულიდან დღემდე განვლილ პერიოდში მუშაობა ამ მიმართულებით არ შეწყვეტილა. კოლმეურნეობებში ფრონტელთა ოჯახებს ეხმარებიან პროდუქტებით, საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში, უშენებენ და უკეთებენ სახლებს, უზიდავენ შეშას. საწარმო-დაწესებულებებში ფრონტელთა ოჯახების წევრებს ეხმარებიან პროდუქტებით, სამრეწველო საქონლით და სხვ.

მეორე კვირეულის ჩატარების მიზანია როგორც ქალაქად, ისე სოფლად დამატებითი მატერიალური და ფულადი რესურსების მოზიდვა ფრონტელთა ოჯახებისათვის დახმარების, შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ამისათვის უნდა გამოინახოს სათანადო წყაროები ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობაში ნებაყოფლობით საფუძველზე კვების პროდუქტების, საოჯახო ნივთების, სათბობის და სხვ. შეგროვებას.

კვირეულის განმავლობაში დიდი მუშაობა უნდა ჩაატარონ პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. საჭიროა გამოვავლინოთ ფრონტელის ყოველი ოჯახი და საჭიროებისამებრ დავეხმაროთ მათ პროდუქტებით, ფულით, სამრეწველო საქონლით, პირუტყვის საკვებით, დავეხმაროთ შრომისუნარიანი წევრების სამუშაოზე მოწყობაში, საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში, სათბობის მომარაგებაში და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფრონტელთა ბავშვებს, მათს მოწყობას საბავშვო დაწესებულებებში (ბაგებში, ბაღებში, სანატორიუმებში, საბავშვო სახლებში), მათს უზრუნველყოფას ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, კვებით, სასკოლო ნივთებით. კვირეულის განმაღლებაში გამოვლინებულ და აღკვეთილ უნდა იქნას თუ სადმე არის დამახინჯებანი ფრონტელთა ოჯახებისათვის მიკუთვნებულ შეღავათებში, დახმარებისა და პენსიების გაცემაში, საბინაო-საყოფაცხოვრებო მოწყობაში.

ფრონტელთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მრავალი საშუალება არსებობს. ამ მხრივ კარგი იქნება მივბაძოთ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ოლქებისა და რაიონების მაგალითს. მაგალითად, ივანოვოს ოლქის შურიხინის სასოფლო-სამეურნეო არტელ „დრუჟნაია სემიას“ წევრთა ინიციატივით რაიონის კოლმეურნეობებში იქმნება ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდები, რომლებშიც თითოეულმა მომუშაე კოლმეურნემ გამოჰყო სამი შრომადღე.

ძმა ფრონტზე იბრძვის, მე შრომით ვეხმარები მას

1932 წლიდან ემუშაობ თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. აქ მიმიღეს კომკავშირში და შემდეგ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. მიყვარს ჩვენი ფაბრიკა, ჩემი სამქრ. პირველ ხანებში მჭირდა ვმუშაობდი და საწარმოო გეგმებს მუდამ გადაჭარბებით ვასრულებდი. სამამულო ომის დღეებში ბევრი მამაკაცი სამშობლოს დაძახილზე ფრონტზე წავიდა ჩვენი მიწა-წყლის დასაცავად. მე დავეუფლე ახალ პროფესიას, ამ საქმეში ფაბრიკის ადმინისტრაციამ და ამხანაგებმა სათანადო დახმარება გამიწიეს. საჭირო დახელოვნების შემდეგ ჩავიბარე საქსელე განყოფილება. ახლა ჩემს განყოფილებაში 35 კაცი მუშაობს. ყველანი ასრულებენ საწარმოო გეგმას.

წინასაოქტომბრო სოციშეჯიბრებაში ჩაბმისას მე ვიკისრე გეგმის 105 პროცენტით შესრულება, რაც უკვე განაღდებულია.

მე და ჩემს ამხანაგებს შეგნებული გვაქვს, რომ მტკიცე ზურგი, ზურგში თავდადებული შრომა ლახვარია მტრისათვის. ამიტომ ვმუშაობთ შეწყობილად, საათის ზუსტი მექანიზმივით, როგორც ამას გვასწავლის ჩვენი მამა და მასწავლებელი, მშობლიური სტალინი. ჩემი ძმა სამამულო ომის ფრონტზე იბრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამასწინათ იგი მწერდა: „საყვარელო დაო ლილ! მე კარგად ვარ. მალე დადგება ის დრო, როცა პირისაგან მიწისა აღიგვებიან პირსისხლიანი ფაშისტები, შენკი, დაო, მანდ იმუშავე ისე, როგორც ნამდვილ პატრიოტს შეეფერება. ამით მოვიხდით ვალს სამშობლოს წინაშე“.

მეც მთელი ჩემი ენერგიით ვმუშაობ ჩემი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ჩვენი გამარჯვებისათვის.

ლილი ბაძრაძე
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსელე განყოფილების ოსტატი.

წლიური საწარმოო გეგმა ვადაზე ადრე შესრულეს

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალმა მთელმა რიგმა საწარმოებმა ვადაზე ორი თვით ადრე—1 ნოემბრისათვის შეასრულეს წლიური საწარმოო დავალება. ისინი ამჟამად მუშაობენ, რათა წლის ბოლომდე ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცენ პროდუქცია.

წლიური საწარმოო დავალებების შესრულებაში დაწინაურებულ ამ საწარმოებს ეკუთვნიან: სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა, ცელულოიდის ფაბრიკა, ბათუმის მომთუთიებელი ქარხანა, სასკოლო-საკანცელარიო ხელსაწყოების თაბრიკა, საბავშვო სათამაშოების და მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა და სხვა საწარმოები.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის XXVI წლისთავისათვის—7 ნოემბრისათვის ამ საწარმოებმა წლიური გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვეს დამატებითი პროდუქციის პირველი პartია.

გეგმების შესრულება

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა 5 ნოემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის სოიას ჩაბარების 1943 წლის ვალდებულებანი. ჩაბარებულია სოია 4.218 ცენტნერი, აქედან 3.595 ცენტნერი საღალდებულო ჩაბარებისა, 337 ცენტნერი მტს-ის ნატურ ანაზღაურებისა და 296 ცენტნერი სესხის დასაფარავად. აგრეთვე ჩაბარებულია მტს-ის ნატურ ანაზღაურებისათვის სიმინდი 143 ცენტნერი.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი ბ. ჩაჩიბაია

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. საჯაია

* * *

ონის რაიონის კოლმეურნეობებმა 5 ნოემბრისათვის 101,3 პროცენტით შეასრულეს საშემოდგომო თესვის გეგმა. დათესილია 2.320 ჰექტარი საშემოდგომო მარცვლეული კულტურები, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.300 ჰექტარისა.

საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომის მდივანი გოგრიაშვილი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რეხვიაშვილი

ზ. ფალიაშვილის ხსოვნის საღამო

თბილისის კონსერვატორიამ ზ. ფალიაშვილის ხსოვნის საღამო 4 ნოემბერს ნაკლებ საღამო გაიხსნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის შ. მშველიძის შესავალი სიტყვით. ზ. ფალიაშვილის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა პროფ. შ. ასლანიშვილმა. მოგონებები წაიკითხეს პროფ. ო. შულგინამ (ეთერის როლის პირველი შემსრულებელი), რეჟისორმა ა. წუწუნავამ („აბესალომ და ეთერის“ პირველი დამდგმელი), ზ. ფალი